
ბავშვი
ალმანახი
№ 4

მუშათა საქმისათვის იყავ მზად!

„პიონერი“

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის ჟურნალი ბავშვთათვის.

№ 4.

ᲐᲠᲘᲚᲘ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔ-IX 1934 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔ-IX

რედაქციის მისამართი: ალმახკომის ქუჩა, № 7. სახელგამი, საბავშო და ახალგაზრდობის სექტორი

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

		გვ.
1.	ტრაქტორი მინდვრად — **გ. კაჭახიძის**	1
2.	ბახო — **აკ. გოცირიძის**	2
3.	ინდუსტრიის გაზაფხული — **არნო ონელის**	6
4.	აიშე — **პ. ლორიანი**	6
5.	შეიარაღებული თვალით — **პ. ლოპატანის** (თარგმ. შ. თაბუკაშვილისა)	9
6.	გაზაფხული — **მ. ებრალიძისა**	11
7.	ზოსიმეს ოცნება — **ლ. საქარელიანი**	12
8.	ჩვენი ქვეყნის კუთხეები — **ლ. მარუაშვილისა**	16
9.	სოცშეჯიბრება — **ი. ჭარელიშვილისა**	17
10.	მინდვრად — **არნო ონელისა**	18
11.	პიონერი სტეფანე — **ლეოპოლდ ხვიჩიანი**	20
12.	პატარა შეფი — **ავთანდილ კაშმაძის**	22
13.	დამწყებ მწერალთა საყურადღებოდ	23

საქ. სახელგამის ᲛᲡ/სკოლა, ა. წერეთლის ქუჩა, № 3—5. ტირ. 25000. მთავლ. ა—159. შეკვ. 480.

გიორგი კაჭახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაქტორი მინდვრად

გაუტეხელი ძალაა,
როგორც ვეკაცი რკინისა.
მიდის,
აღვიძებს მიდამოს,
მხნეობა უჩანს გმირისა.
ერთი კვირაა მინდვრებზე
ქაქანებს,
ბრაზობს ძალიან...
ამინდი კარგი დაუდგა,
მიდის და აღარ სცალია.
კოლექტიველი ბიჭები
მასთან მხარდამხარ არიან.
სახუმრო რამე არ არის,
ნამდვილი რკინის ხარია.
არ ტყდება,
არც იქანცება,
უყურებ, გრძნობით მდიდრდები...
მიდის,
ქაქანებს, ირჯება,
გადაამავა მინდვრები.
მიჯნას მიადგა, აიღო,
იწყო შეტევა ყამირთან,
ბიჭებიც ეხმარებიან
ოცი უღელი ხარითა.
თავს არ ზოგავენ,
გარბიან
სქელკისრიანი ხარებიც...

კოლექტიური გარჯაა,
მშრომელთა გასახარელი.
ვაშა დიად დროს,
სიცოცხლე
კოლმეურნეთა წყებასა,
ქვეყნის ძარღვსა და სიხარულს,
შიმშილის დავიწყებასა.
ტემპს უქმნის ხარი მაგარი,
მქონე ფოლადის კბილისა,
გაზრდილი,
დამშვენებული
სტალინგრადელი გმირისა.
ტრაქტორი, ჩვენი ძალ-ღონე...
უჩანს ნაყოფი შრომასა.
კაცი გმირია,
ვერ ხედავ
მასში სხვა კაცის მონასა.
დარდი ხალისმა შეცვალა,
დრო მწუხარების წავიდა,
წავიდა,
არ დაბრუნდება,
არც მოირთვება მწვანითა.
ტემპში გახვეულ მინდვრებზე
ხაროობს ცხოვრების ყვავილი...
მიდის ტრაქტორი,
ქაქანებს,
გადაამავა ყამირი.

1759.



ჩელიუსკინელთა ხიდის მშენებლობა (მდ. მტკვარზე)

აკაკი გოცირიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ბ ა ხ ო

გაპუნტული ვაშლის ყლორტები შეირხა, და ღრუტუნა გოჭები ჭყვირილით გამოეკიდენ მომწიფებულ გვერდწითელას...

ისინი ერთიმეორეს უსწრებდენ, მიცქრიალებდენ და ხეპრულად თქვლეფდენ ბახოს ბაღში დარხეულ ქამრა ვაშლს!

ბახომ მუხლებამდის ჩაჩლაჩული ჭრელი შარვალი შეისწორა და საშინლად დაიყვირა:

— ღრუტუნებო! ნუ გათამამდით, გესმით! თავი დაანებეთ!

დიდრონი ვაშლის რტოებიდან ძირს წამოვიდა, ხელი შუბლთან მიიტანა და ათვალიერებდა, ბალახებში ეძებდა ჩაყურსულ ვაშლებს.

— გესმით! დამიტოვეთ, თქვე პირწავარდნილებო, მე აღარ მინდა? ჩამოვალ და ზურგებს აგიჭრელებთ!

ბახოს ყურს არ უგდებდენ ღრუტუნები. თქვლეფდენ ქამა ვაშლს.

სიბრაზის ცრემლები მოაწვა:

—უსვინდისოები! ის არ იციან, სკოლაში რომ მაგვიანდება!

—ღორებს დაებრალე 'აკნი სიზარმაცე, ღორებს! არც გაკვეთილები დაგიმზადებია, გუშინდელს აქეთ სულ ხევებსა და გორებში დახტიხარ, ბიჭუნი, წამოდი, წამოდი, დედა გენაცვალოს! თავი დაანებე ღორებს, სკოლაში გაგვიანდება...

—დედი, შენ ამბობ, რომ მე ლექსი, გაკვეთილი არ ვიცი? ეგ ხომ ჩემი ბრალი არ არის, ეგ ღრუტუნების ბრალია! მე ვაშლი მინდა, ისინი კი აჭყაპუნებენ...

კერატი ქალაქს გამოფენაზე უნდა წავიყვანო, იქაც გამოფენას აწყობენ, და ნახონ ბახოს ნაზარდი.

—კოლექტივის რუხი კერატი!

ბახოს დედა ბაღში გადმოვიდა, წინსაფარი შეისწორა და დაყრილი ფქვილი დაიბერტყა.

ელიავას სახელობის კოლ. ახ. სკოლის მოწაფეები ამუშავებენ მიწის ნაკვეთს

დედას ლოყები ასწითლებოდა ბუხრის წინ ნადგომს. ნატალია აჯუჯგურდა. უკვე დილის 10 საათია. მზე ქვიშისგვერდის ხავერდოვან ფერდობებს გაუტოლდა, ბახო კი ისევ შინაა. სკოლაში მეორე ზარი დარეკეს.

პატარა ბიჭუნები და გოგოები ორღობეებში ჟრიამულით გარბოდენ.

მირბიან, მიხტიან, უხარიათ სკოლისაკენ!

ბახომ უბიდან ვაშლი კერატს ქურდულად გადაუგდო და დედის წინ თავჩაქინდრულმა გაიარა; ერთი რაღაც წაიბუზღუნა გულნატკენად და ჯიბეში გაკვეტებული სქელი უხაზო რვეულით წავიდა. ნაფუზვრით ის მიდიოდა სოფლის შუაგულ, კაკლის შტოებში ჩაყურსული სკოლისაკენ.

ფიქრობდა: „განა ჩემი ბრალია? რას იტყვის ბიძია მასწავლებელი აბელი?“

სკოლაში რგოლის წევრებიც შეიტყობენ, გამოაკრავენ კედლის გაზეთში უშველებელი კარიკატურით. ო, მერე რა უშნო მხატვარია მისივე ამხანაგი პეტია! ცხვირს ერთ არშინზე გაუგრძელებს, თმას აჩეჩილად დაცხრილავს, ფეხებს მოჯღარკავს და, უჰ, რა კარიკატურა იქნება!

ქვეშ კი მიაწერენ: „სიმულანტი ბახო!“

— არ, ბახომ კარგა მოისაზრა; წავა, პეტიას ვაშლს აჭმევს და აღარ დახატვენ. მაგრამ თვითონაც ხომ წევრია რედკოლეგიის? არა და კერატს, სოფლის სიდიადეს, მოვლა არ უნდა? ის ხომ რესპუბლიკის გამოფენის კანდიდატია?

საყვარელია ჯიშიანი ღორის კარგი მოვლა. ეს იცის ბახომ, დიახ, კარგად იცის!

სკოლის ეზოს საბიჯზე რომ გადავიდა, გრძელ დერეფანს მალულად დაჰყვა.

— ბიჭო ბახო, სირცხვილია! სად მიიპარები? მოდი ჯგუფში, ყოველთვის ასე განა შეიძლება? გაკვეთილებს გაურბიხარ... სკოლის მაგიერ ქვიშისგვერდში ჩიტებს დასდევ.. რას ჩაიცვდი კერატს, მარტო შეფობა ხომ არ კმარა?

— მას..ს..წავლებელო, ჩემი ბრალი არ იყო, ღრუტუნებმა...

— ახლა ღორებს დააბრალე!

ეს რა წამოსცდა ბახოს! ახლა კი მართლა შეახურებენ. ქუდი გაისწორა და მასწავლებლის წინ ამაყად გაიარა:

— ხარები მყავდა საბალახოდ!

— მერე, ასე ადრე მორეკე?

— არა, ვხნავდით!

— ბატონო მასწავლებელო, ეგ მეღორეა, სულ ღორებს დასდევს.

ვიღაცა კუთხეში გაიღიმეა:

— მეღორე... მეღორე...

— ჩუმად, ბავშვებო! სკოლა და კოლმეურნეობის ცხოვრება ერთნაირი უნდა იყოს, ეს იცოდეთ. ამხანაგო ბახო, ჩვენი კოლმეურნეობის სანაქებო კერატი კიდევ უფრო უნდა გასუქდეს, ამას სკოლის სახელითაც გავალებ!

2.

გავიდა ერთი თვე.

შემოდგომის უფერული დღე გაიცრიცა. ბახო ყორის ძირში იჯდა და გაფაციცებით კითხულობდა წიგნებს. ბიჭებმა კალოზე ერთი როხროხი ატეხეს.

— მელისხვრელზე უნდა გადენოთ ღორები! — დაუძახა კოლექტივის ბრიგადირმა დათომ ბახოს და შინისაკენ წავიდა.

საყვარელი ღრუტუნები მის ახლოს გორგისობდენ, თითქოს სთხოვდენ საჭმელს.

ბახომ წიგნი უბეში ჩაიგდო.

— გესმით, ბიჭებო! ღორები მელისხვრელზე უნდა გავრეკოთ; ბიძია დათომ დაგვავალა!

ღორის ჯოგი დაიძრა.

ერთიმეორეს უსწრებდენ პუნტულა გოჭები.

— ჩემი კერატი ყველას სჯობია!

— რაო? შენი! შენი კი არა, სოფლის არის, გესმის, ჩვენი ბრიგადის სანაქებო ღორია!

— სულერთია! ჩვენც ხომ სოფლისა ვართ! — დაუმატა ბახომ და ღრუტუნები მუხრანში შერეკა. ბიჭებიც ტყეში შეიმალნენ. დიდი მუხრანი ამაყად დგას. ათასი ჩიტუნები და მთის ქორი ბუდობს შიგ.

ბავშვები მიიმალნენ. ღრუტუნებიც ბუჩქნარში გაიბნენ.

ბახო ხის წვერს მოედვა და ამაყად იმეორებდა ერთსა და იგივეს:

— ჩემი კარგი ღორები
და კერატი მსუნაგი!
გვიყვარს დიდი მუხრანი,
მელიების ბუნაგი...
მედიდურად ქალაქში
ჩავალთ მე და კერატი...

წამოღამდა. ახლაც იტყვიან, რომ ბახო ზარმაცი მოწაფეა? ხომ ზეპირად, კარგად იცის ძია ლენინის აზრი, მისი ბავშვებთან სიხარული და სიყვარული! ძია ლენინი ახლა გულში აქვს, წიგნის ყდაზე სურათიც გამოხატა. ნეტა ახლა ლენინის ძეგლი ანახა, მივა და... ცრემლებით აუჭრელდა თვალები...

მაგრამ უმალვე გაიღიმა. განა მოკვდა ის? არა, არ მომკვდარა! ლენინი ცოცხალია, ლენინი ქვეყანაა და მისი პარტია! ლენინის დროშა საყვარელი ბელადის ძია სტალინის გმირულ ხელშია! ის არ დაიხრება! ბახომ ახლა კარგად იცის, რომ ის, ვინც მუშათა კლასისათვის თავს წირავს, არადროს არ მოკვდება.

დიახ, კარგად, ძალიან კარგად იცის!

მაღლა რომ აიხედა, გაშტერდა. — უკვე დაღამებულა, — გაიფიქრა მან. მართლაც, მუხნარში უკვე ბურუსი მოხოხავდა და ბუჩქებში სიბნელე ითქვიფებოდა...

მაგრამ ღრუტუნები სად არიან?

რას იტყვის ძია დათო?

რას იტყვის სოფელი?

ბუჩქებში გაინავარდა: სად არიან ღრუტუნები? სად არის სანაქებო ჯიშიანი კერატი, რომელ ბუჩქთან ქშუის ის, ოცფუთიანი, რესპუბლიკის გამოფენის კანდიდატი?

ბახო მალიმალ გადარბოდა ვიწრო ბილიკებში.

იცოდეს კოლმეურნეობის ბრიგადირმა თადომ, რომ მე, ბახო, ნატალიას შვილი, მეღორე კი არა, მესაქონლეობისათვის მებრძოლი ვარ, ეს დავალებული მაქვს თავმჯდომარისაგან. მისგან... პირწავარდნილი დათუნია კი დამცინის: მეღორეაო! ტყუიან, მეღორე კი არა, ჯიშიანი ღორის აგრონომი ვარ, რაიონშიც დამავალეს კერატის გადიდება! მეც ვუვლი, როგორც ჩემს თავს, მაგრამ ახლა სად გამეპარა... ვაი თუ მგელმა გაუნავარდოს, მერე?

ღრუტუნები ნაცრისფერი ღობის ძირში შეგროვდენ. მაკე ნაზუქი (ასე ეძახის ბახო მაშკა ღორს) მოთენთილად მიეგდო მსხლის გვერდით და ცუგრუმელა გოჭები კი მიეხვივნენ. ხარბად წოვდენ დედის რძეს, ერთი ამბით უჯიქვინებდენ ფერდებში.

ბახო იღიმებოდა:

— ის კერატი რაღა იქნა?! რაიონში გამოფენაზე განა ტყუილად მითხრეს მადლობა? ასე უნდა დაფასდეს საქმის გაკეთება?

ჩაფიქრებული იდგა და თან ყურს უგდებდა გოჭების ჭყვირილს.

— რას ატუზულხარ, დროა წამორეკო! — წაულაპარაკა თადომ და ღორებს შეუსტვინა.

— ბიძია!

— რა გინდა?

— კერატი არა ჩანს, სადღაც გაპარულა.

— მერე და გულზე ხელების დაკრეფა გიშველის?

— მეგონა აქ იყო! მაგრამ... ვაი თუ ბრიგადაში გადავიდა, მერე, იცი, ბიძია, შემოდგომის პირია და მგელიც დაიძურწება...

ბახო შეტორტმანდა.

— ნუ გეშინია, ბახო, მეც წამოგყვები.

ორივენი ბილიკებში მიიმალნენ. მელისხვრელის თავზე დიდრონი ბუჩქებია. ხშირი თხილნარი შამბებით თავდება — ტბის პირამდის.

ბახო მიდის და ფიქრობს: სად არის სოფლის საყვარელი კერატი?

თხელ ბურუსში გაეხვია ყველაფერი. დაღამდა.

ეძინა უბანს, როცა ბახო სიხარულით თავის საყვარელ კერატთან ერთად ქვიშისგვერდის დალმართზე ჩამოდიოდა. ახლა ის გმირია, იხსნა გასივსივებული ღრუტუნა მგლებისაგან, რომლებიც გორაკებში სულმოუთქმელად ყმუოდენ...

3.

ნისლი რძესავით ეღვრება დაკიდებულ ფერდოებს. ყანები მომწიფდა. გამხმარმა ჩალამ შრიალი ატეხა და გოგო-ბიჭებმა საქონელი გამორეკეს.

ყველას უხარია ნოყიერი შემოდგომა!

აჭრიალდა ურმები...

მოაქვთ, მოაქვთ სოფლის სიმდიდრე!

იქ, სადაც დიდი მუხის რტოები ქოლგასავით დასცქერის ბახოს კალოს, კოლექტივის სიმინდს არჩევენ. ხალხი ჟრიამულობს.

უხარიათ კოლექტივის სიძლიერე, სიუხვე!

განა კოლექტივზე ძლიერია რამე? არა! ყველამ იცის, რომ სილარიბე, შიმშილი მხოლოდ მან ჩაკლა...

შეჯიბრებაა!

ტაროების ხვავი გაიზარდა, ავსებენ ნალიებს!

ბახოს დიდი გიდელი მოსდვეს ზურგზე და ყველაზე მარდად მუშაობს.

ის ხომ პიონერია, ენარგიული მუშაკი! სოცშეჯიბრება ღირსებისა და სიმამაცის საქმეა! მესამე ნალია აავსეს, დიდი მუხის ქვეშ ახალი სიცოცხლე ფეთქავს...

ბახომ გიდელი რომ ყირამალა გადაუშვა, მერე ზურგისაკენ შემობრუნდა და კაკალზე შესულ ბიჭებს დაუძახა:

— ეი, დოყლაპიებო! განა ასე უნდა! ჩამოდით ძირს! რა დროს ეგ არის, ხედავთ, ღამდება! ეგეც არ იყოს, დასავლეთით ღრუბლები აითქვიფა, ცა გაშავდა... წვიმა თუ წამოვიდა, ხომ გაფუჭდა ამოდენა მოსავალი...

— ეგრე, ჩემო ბახო! მუყაითობა უნდა საქმეს!! დაუმატა ბრიგადირმა და დიდი გიდელი მიაწოდა.

— მერამდენეა?!

— ოთხმოცი, ბიძია თადო! ოთხმოცი!

მუშაობა გრძელდებოდა. პატარა ბავშვები ჩალაში კოტრიალობდენ, ზოგი მალიაობას თამაშობდა!

მეჩონგურე ბასილა კუთხეში მიმჯდარიყო და მხიარულად უკრავდა თავის აჭრელებულ ჩონგურს

... უცებ იელვა, და დასავლეთით მთებში წვიმა გაჩნდა. ის ხეობებს გამოჰყვა და სოფელ ყვაპიას გადმოუარა. თანაც ღამდებოდა. დატრიალდა უბანი, დატრიალდა ბახოს ბრიგადა! სიმინდი ნალიის ქვეშ მიყარეს, ყავრები დახურეს და ჩალა ზევიდან დააფარეს!

დაღამდა...

თადომ ყალიონი მეორედ მოქაჩა, ქუდი გაისწორა და ბახოს მოუბრუნდა:

— მამაშვილობას, ყური უგდე, მთელი წლის სარჩო ეგ არის, ღორები არ მიგეპაროონ, თორემ სულ გაატიალებენ...

— არა, ბიძია! იმედი გქონდეს, საჭმელს ვჭამ და მეც ნალიის ქვეშ წავალ...

* * *

სადღაც სულმოუთქმელად ყმუოდა ძაღლი...

სოფელში ღამე ჩაწვა.

წვიმა მატულობდა. გზებში, ყანებში ყველგან ღელეები აღრიალდა. ბახომ ღორები სახლებში მირეკა. კერატზე გულმოსული იყო.

აბა, რატომ არ ამწყვდევენ ღორებს? მსუნაგი ღრუტუნები ჩუმად ეპარებოდენ ხვავს!

საყვარელი კერატი თავისი ხელით დაამწყვდია საღორეში.

მიყრუვდა სოფელი.

წვიმის თქეში კი მატულობს...

მეზობელმა ბათლომემ ეს მესამედ შეათვალიერა ბახოს კარმიდამო; ავი თვალით იცქირებოდა ის!

— ახლა კი ვიშოვე დრო!!—თქვა მან და გულში ხელი ჩაიკრა. აჯუჯღუნდა კულაკი ბათლომე!

ყელამდის ბოღმით სავსემ ბოსლიდან თოხი გამოიტანა, ყანაში მარდად გაიჭრა და უშველებელ რუს შეებრძოლა.

ატბორებული წყალი გადაკეტა!

ერთიც...

და ათქვეფილი ღელე ბახოს ნალიისაკენ გადმოეშვა!

წყალი ტაროებში შეიჭრა.

ბახომ ღამეში ვერაფერი შეამჩნია. უცებ ფეხებში, სისველე იგრძნო, ფანარს ხელი სტაცა.

ო, ეს რა ამბავია! წყალი აღრჩობს კოლმეურნეობის სიმდიდრეს! მან ერთი დაიყვირა, არ დაიბნა და ღამეში იქით გაიჭრა, საიდანაც შეიძლებოდა წყლის მათი ნალიისაკენ გადმოხვეთქა.

ბახო წელამდის ჩავარდა რუში. მარდად მუშაობს!

ცოტაც — და შეწყდება!

თადო მოვიდა.

— ბიჭო, რატომ არ შემატყობინე!

— დაყოვნება დანაშაულს უდრიდა!—მეტი არაფერი უთქვამს მას. შეწყვიტეს წყალი. გალუმპული ბახო მედგრად მიაბიჯებდა ხვავისაკენ; ის გმირია, კოლექტივის ქონების დამცველი! ამას თადოც იტყვის ხვალ. ორივემ შეამჩნია, მეზობელი ბათლომე როგორ გადაძვრა ჭიშკარში. დანარჩენს ხვალ იტყვიან... მისი თოხიც ნიაღვარში იპოვეს!

ინათა... ცა კუხე ატმისფრად აიწინწკლა... ბახო და ბიძია თადო ნალიის ყურეში ისხდენ. ბახო საამურად აჟღურტულებდა ხრიკოლასაგან გაკეთებულ სალამურს!

პიონერები აწყობენ ტფ. მაუდის ძარხანაში სოცშეჯიბრების კუთხეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არნო ოდელი.

ინდუსტრიის გაზაფხული

გაზაფხულია. ასეთ გაზაფხულს
არ მოსწრებია არცერთი ხანა!
მინდვრებს, ტრაქტორით შავად გადახნულს,
უმღერს ქალაქი, უმღერს ქარხანა.
გავიდა მინდვრად მთელი სოფელი,
ადგა შრომის ხმა და ჟრიამული.
ზეიმობს მიწა ოფლით ნამული
და სიღარიბის უარმყოფელი.
ინდუსტრიის და ქალაქის ქარით
გუგუნებს ხევი, ყანა, სერები,
დგას კოლმეურნე და მოფერებით
თავს დაჰქათქათებს მზიანი დარი.
თვალშეუდგამი გაშლილა ველი,
ვით გიგანტური ჭადრაკის დაფა,
ზედ უთვალავი ტრიალებს ხელი,
კოლექტიური ზეიმობს ჯაფა.
გაზაფხულია. ასეთ გაზაფხულს
არ მოსწრებია არცერთი ხანა!
მინდვრებს, ტრაქტორით შავად გადახნულს,
უმღერს ქალაქი, უმღერს ქარხანა.

პ. ლოკრია

ა ი ბ ე

ერთი კვირაა, რაც სოფელ წიწვნარში სკოლა გახსნეს. ხის ახალი შენობა ლამაზ ადგილას არის წამომდგარი. წინ მშვენიერი ნაძვნარი, გვერდით მაღალი კაკლის ხეები, მოშორებით—მწვანედ შემოსილი სერი და იქვე ახლოს ხის ღარზე მოჩხრიალე ანკარა ცივი წყარო.

აქ სკოლა არადროს არ ყოფილა. აქაური ბავშვები ხოჯასთან დადიოდენ, რომელიც ლოცვებსა და არაბულ ასოებს ასწავლიდა. ამიტომ აქ ქართული წერა-კითხვა არავინ იცოდა, თუმცა სალაპარაკო ენა ქართული ჰქონდათ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის გზაც კი არ ჰქონდა სოფელს, თორემ სკოლასა და კოოპერატივის დაარსებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. აქაურობას ექიმბაშები, მკითხავები, ჩარჩები და ხოჯა-მოლები განაგებდენ. ხოჯა მუჰამედი იყო მასწავლებელი, წინამძღოლი, ექიმი, მრჩეველი, და როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა ყველაფერს. ავად გახდებოდა ვინმე—მასთან მიდიოდა შესალოცავად, დაიბადებოდა—მასთან მიყავდათ, გაიზრდებოდა—მას უნდა ესწავლებია, მოკვდებოდა და მაშინ ხომ მის ხელში იყო. მთელი სოფელი მის ლუკმას წარმოადგენდა და ვერავინაც ვერ ეცილებოდა ამაში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიცვალა მდგომარეობა. პირველად სოფელში კოოპერატივი გახსნეს, შემდეგ გზა გამოიყვანეს და ახლა ესაა სკოლაც დააარსეს და ორი მასწავლებელი გადმოგზავნეს.

გზის გაყვანას მაინცა და მაინც ბევრი მოწინააღმდეგე არ გამოსჩენია, მაგრამ კოოპერატივის გახსნასა და სკოლის დაარსებას ბევრი მტერი გამოუჩნდა. ყველაზე უფრო ხოჯა მუჰამედს არ დაუჯდა ეს ამბავი. მას ექიმბაშები, მკითხავები მიემხრნენ და ზოგიერთი გლეხიც აიყოლიეს.

— რად გინდა მაგათი ნასწავლები! თუ სწავლა გვინდა, ჩვენი ხოჯა კი ვერ გვასწავლის?— გაიძახოდენ ისინი და სოფელში ათასგვარ ჭორს ავრცელებდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

პირველ დღეს სკოლაში 25-მდის ბავშვი მოიყვანეს, მეორე დღეს ეს რიცხვი ათამდის დავიდა და ერთი კვირის შემდეგ სკოლას მხოლოდ სამი მოწაფე შერჩა, რომლებიც „მასწავლებლის ხათრისათვის“ დადიოდენ. მასწავლებლებმა ეს მდგომარეობა თემსაბჭოს აცნობეს, თემსაბჭოს მიერ გამოგზავნილმა წარმომადგენელმა სოფლის მცხოვრებთა საერთო კრება მოიწვია და ერთხელ კიდევ დაადგენინა ბავშვების სკოლაში გაგზავნა. კრებაზე ყველამ თანხმობა განაცხადა, მაგრამ მეორე დღეს იმ სამ მოწაფეს, რომლებიც ამ დრომდის დადიოდენ, ორის მეტი არ მოჰმატებია. მასწავლებლებმა დახმარებისათვის სოფლის საბჭოს წევრებს მიმართეს. უკანასკნელებმა სოფელი

ჩამოიარეს, მეზობლები გააფრთხილეს; მაგრამ მათ ვინ დაუჯერებდა, როდესაც თავიანთი შვილები შინ ჰყავდათ. ეტყობოდა, ბნელი ძალები მუშაობდენ და საჭირო იყო მათ წინააღმდეგ გალაშქრება, მაგრამ ასეთი ძალა სოფელს არ ჰყავდა. ორი-სამი კომკავშირელი, რომელნიც ამ სოფელში ცხოვრობდენ, ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა ვისმეზე. ისინი ერთმანეთში მსჯელობდენ, კამათობდენ, ეწეოდენ აგიტაციას გლეხებში, ახალგაზრდებში, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. საჭირო იყო უფრო ძლიერი და გამოცდილი ხელი.

რომ არაფერი გამოვიდა, თვითონ მასწავლებლებმა ჩამოიარეს სოფელი და გლეხებს ბავშვების სკოლაში გამოგზავნა სთხოვეს.

— საქონელის მომვლელი არ მყავს.

ხოჯას მიერ მომზადებული გლეხები დადიოდენ და ავრცელებდენ ხოჯას მცნებას. თვითონ ხოჯა თითქოს განზე იდგა. ის ხშირად ჩაივლიდა სკოლის წინ და როდესაც მარტოდ მჯდომ მასწავლებლებს დაინახავდა, თითქო თანაგრძნობით მიჰმართავდა.

— ძალიან მებრალებით, რომ ასე უსაქმოდ ხართ. რას გააწყობთ. ამ ხალხის გონზე მოყვანა ძალიან ძნელი საქმეა. სჯობს წახვიდეთ და თქვენს საქმეს მიჰხედოთ,—ეუბნებოდა ის მასწავლებლებს და გულში კი უზომო სიხარულს გრძნობდა. მასწავლებლები ყურადღებასაც არ აქცევდენ დროებით გამარჯვებულ ხოჯას და ცდილობდენ, როგორმე მიეხდინათ გავლენა გლეხებზე და ბავშვები მოეზიდათ სკოლაში.



— მარტოხელი ვარ.

— ავადმყოფი ბავშვია და ვერ გამოვგზავნი.

პასუხობდენ გლეხები და იავაზიან უარს ეუბნებოდენ.

— ჩვენმა ძველებმაც არ იცოდენ ქალალდი, მაგრამ ჭადს ჭამდენ. ჩვენ რაზე უნდა ვასწავლოთ ბავშვებს! — გაბედულად ამბობდა ზოგიერთი, მაგრამ როდესაც მას საკადრის პასუხს გასცემდენ ან სიტყვას მოუჭრიდენ, ისინი ენას მუცელში ჩაიგდებდენ და ხოჯასთან გაიქცეოდენ რჩევა-დარიგებისათვის. ხოჯა ახალ-ახალ დარიგებებს აძლევდა და უსაბუთებდა, რომ ქართული წერა-კითხვის სწავლა აკრძალულია რჯულის მიერ.

არც ხოჯა იყო გულზე ხელდაკრეფილი. ის დადიოდა გლეხებში და ახალ აზრებს აბნევდა.

— ხომ ხედავთ, გიაურები როგორ ცდილობენ თავიანთი რჯულის სწავლა მიგაღებინონ. თქვენც უნდა ძიხვდეთ და თქვენს შვილებს არაბული, ნაბდვილი ჩვენი რჯულის წერა ასწავლოთ.

გამოგზავნეთ ჩემთან. ქალალდსაც ვასწავლი, ლოცვებსაც და, თუ მოვრიგდებით ფასზე, ნუსხის დაწერასაც შევასწავლი, — ატყუებდა გლეხებს. სწავლის ქირაც კი შეამცირა. თუ წინათ სამი კოთხო კარაქი, ერთი ცხვარი, ორი დედალი და ასი კვერცხი მიქონდა, ახლა ამის ნახევარს სჯერდებოდა.

მიდიოდა დღეები, და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს იქნებოდა. ეს სოფელი ასეთ მდგომარეობაში, რომ ერთ შემთხვევას არ დაეჩქარებია საქმის შემობრუნება. შეიძლება არც ისე მნიშვნელოვანი ყოფილიყო ეს შემთხვევა სხვა დროს და სხვა სოფლისათვის, მაგრამ აქ ის დიდმნიშვნელოვანი გახდა.

ერთ დღეს ამ სოფელს ერთი სტუმარი ეწვია. სანამ გაიგებდენ ვინ იყო, ყურადღებაც არავის მიუქცევია, მაგრამ შემდეგ ბევრს არ ესიამოვნა მისი გამოჩენა. სტუმარი აქაური იყო, ამ სოფლის შვილი. ის რვა წლის იყო, დედ-მამა რომ დაეხოცა, ნათესავებმა არ უპატრონეს, ეთრია ერთხანს სოფელში, მაგრამ შემდეგ სადღაც გაქრა და-აგერ ოცი წელია არავის უნახავს. მისი ქონება კარგახანია გაინაწილეს მისმა ნათესავებმა და თავისად თვლიდენ. ამ დროს მოულოდნელად მისი გამოჩენა, და ისიც ცოლშვილით, აბა რა სასიამოვნო უნდა ყოფილიყო ამ ხალხისათვის. ვაი თუ მოგვთხოვოს და ყველაფერი სარგებლით გადაგვახდევინოსო,—ფიქრობდენ ისინი და დარდისაგან აღარ იყვნენ, მაგრამ როცა ჯემალმა თავისი აზრი და მიზანი გააცნო მათ, ქონებაზე კი კრინტიც არ დაუძრავს, ცოტათი დამშვიდდენ.

ჯემალი დიდი ნაწვალები კაცი იყო. სოფლიდან გაქცეული რვა წლის ბავშვი ბევრი ეთრია ქალაქში. ერთხანს ერთ სპარსელთან დადგა საჩაიეში, მერმე ლუდხანაში გადავიდა, მაგრამ იქაურ ტანჯვასა და მოპყრობას რომ ვერ გაუძლო, გაიქცა და ჩაქვის ჩაის მამულში დაიწყო მუშაობა. პირველ ხანებში ჩაის მკრეფელი იყო, შემდეგ ჩაის ფაბრიკაში შევიდა, მაგრამ ბოლოს იქიდანაც გამოვიდა და ერთ მებაღესთან მუშაობდა, სადაც ხალისით სწავლობდა მცენარეების ცხოვრებას. იქ მან წერა-კითხვაც ისწავლა და ასე თუ ისე გზაც გაიკაფა. თებერვლის რევოლუციას მისთვის მაინცადამაინც კარგი ამბავი არ მოუტანია. ის ამ დროს გაეცნო პოლიტიკურ პარტიებს, მათ მუშაობას და ვინაიდან ის ბოლშევიკების აქტიური მომხრე შეიქმნა, ამ პარტიაშიაც ჩაეწერა და არალეგალურ მუშაობაში ჩაება. ეს არ გამოჰპარვიათ მენშევიკებს, და ჯემალსაც არ ასცდენია ბათომის ციხის კედლები. ვინ იცის, რამდენ ხანს იქნებოდა ის ციხეში და მისი ცოლ-შვილი უპატრონოდ, მშიერ-მწყურვალი, საბჭოთა ხელისუფლება რომ არ დამყარებულიყო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ არამც თუ მარტო ციხის კარები გაუღო ჯემალს და მის ბედში მყოფ ამხანაგებს, არამედ მომავლისაკენ გზაც გაუკაფა და ახალი შესაძლებლობა მისცა. პარტიულ მუშაობასთან ერთად ჯემალმა სწავლასაც მოჰკიდა ხელი და სამი წლის ენერგიული მუშაობის შემდეგ აგრონომი გახდა. ის თავისი სურვილით საოლქო პარტიული კომიტეტის მიერ გაწესებულ იქნა თავის სოფელში აგროპუნქტის მოსაწყობად და სხვა პარტიული საქმეების სახელმძღვანელოდაც.

ჯემალის ცოლი თინა გურული ქალი იყო. ისიც ჩაქვის ჩაის ფაბრიკის მუშა იყო ბავშვობიდან და ჯემალმაც იქიდან გაიცნო, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თინამაც მოჰკიდა სწავლას ხელი და მალე ბებიობა შეისწავლა. სოფლისათვის როგორც ჯემალი, ისე თინაც გამოსადეგი იყო, და მასაც არ უთქვამს უარი, როდესაც ჯემალმა თავისი აზრი გაუზიარა სოფელში სამუშაოდ წასვლის შესახებ.

მათი პირველი შვილი აიშე შვიდი წლისა იყო და ამჟამად საბავშვო ბაღში დაიარებოდა. მეორე შვილი ხასანი სამი წლისა იყო. მას არაფერი გაეგებოდა ცხოვრების. აიშეს კი სოფელში გადასახლების ამბავი არ მოეწონა: მას აქ აუარებელი ამხანაგი ჰყავდა, მასწავლებლებთანაც შეჩვეული იყო, მრავალი ლექსი და სიმღერა იცოდა და ოქტომბრელებში პირველი ადგილი ეჭირა. ყველა ამეების მოცილება მისთვის ადვილი არ იყო, მაგრამ მშობლების სურვილს ხომ ვერ აღუდგებოდა.

— ამხანაგებს იქაც გაიჩენ, —ეუბნებოდა დედა აიშეს.

— წიგნებს იქაც იკითხავ, თამაშობით იქაც ითამაშებ.

— კი, მაგრამ იქ სკოლა რო არ იქნება?— გულნატკენი ამბობდა აიშე.

— სკოლა არის,— ამშვიდებდა დედა.—იმ სკოლას რომ დაათავებ, მერმე ისევ ქალაქში გადმოგიყვანთ და უფრო კარგადაც მოგაწყობთ.

დედის სიტყვები ვერ აკმაყოფილებდა პატარა აიშეს, მაგრამ რა უნდა ექნა. ის წასვლამდის ერთი დღით ადრე გამოემშვიდობა ამხანაგებს, ჩაიწერა ზოგიერთის სახელები თითო ასოობით, ზოგიერთებს სურათებიც გამოართვა, მასწავლებლებს მადლობა გადაუხადა და წავიდა. საბავშვო ბაღისათვის სასიამოვნო არ იყო აიშეს მოცილება, ბავშვებმა ქუჩამდის გამოაცილეს ის. ბევრ მათგანს ცრემლებიც გადმოსცვივდა თვალებიდან. მასწავლებლებსაც ეწყინათ მხიარული და საყვარელი ბავშვის წასვლა. აიშე მუდამ პირველი იყო ბაღში. როცა დილებს მოაწყობდენ, აიშე თავისი ლექსების თქმით ყველას აკვირვებ-

და. სიმღერა და ცეკვაც კარგი იცოდა, და აბა ასეთი ბავშვის მოცილება რა სასიამოვნო უნდა ყოფილიყო.

აიშე დაღონებული მივიდა შინ. მშობლები მიხვდენ რაშიაც იყო საქმე და აიშეს გამხიარულებას შეუდგენ.

— ისეთ ლამაზ მთებს ნახავ, ისეთ ჩანჩქერებს, იმდენ ფრინველს, იმდენ ამხანაგს გაიცნობ, რომ ყველაფერი დაგავიწყდება,—უთხრა მამამ. ასეთივე იმედი მისცა დედამაც, და მეორე დღეს აიშე მხიარულად ჩაჯდა ავტოში, რომლითაც ისინი უნდა გამგზავრებულიყვნენ.

გზაში მართლაც შესანიშნავი ადგილები ნახა აიშემ. გიჟი მდინარეები, ჩანჩქერები, მთები, კლდეები, სხვადასხვა ჯიშის ფრინველები და მცენარეები. მიქროდა ავტო, და წინ იშლებოდა მშვენიერი ბუნება აჭარისტანისა. მშვენიერი სანახაობები, მშვენიერი ჰაერი. აიშეს თანდათან სიხალისე ემატებოდა, მშობლებიც კმაყოფილი იყვნენ.

სოფელ წიწვნარამდის საავტომობილო გზა არ იყო და ამიტომ ათიოდე კილომეტრის მანძილი ურმით გაიარეს. ურმით სიარულიც არ ყოფილა აიშესთვის უსიამოვნო; ის ახლა უფრო ათვალიერებდა მიდამოს, უფრო კარგად უკვირდებოდა ნაკადულების ჩხრიალს, ისმენდა ფრინველების გალობას და ტკბებოდა მშვენიერი ბუნების ცქერით.

სოფელში მისვლისთანავე ჯემალმა ერთი გლეხის ოჯახში დაიჭირა ბინა და ცოლშვილით იქ დაბინავდა. აიშემ ამოალაგა თავისი წიგნები, სათამაშოები, სურათები და ერთი კუთხე ბინისა ისე მორთო, როგორც ბათომში ჰქონდა. პატარა ხასანი ჯერ არაფერში არ იღებდა მონაწილეობას, ის დაბაჯბაჯობდა სახლში და ხანდახან რამეზე თუ ფეხს წამოჰკრავდა, გაგორდებოდა, ერთს დაიკვნესდა, შემდეგ წამოდგებოდა და ისევ განაგრძობდა თავის საქმეს.

სტუმრების მოსვლის ამბავი სწრაფად მოედო სოფელს.

პირველად ბავშვებმა მოიყარეს თავი და აიშეს დაუწყეს შორიდან თვალიერება, შემდეგ გლეხები მოვიდენ ჯემალისა და მისი ოჯახის გასაცნობად და ბოლოს ქალებმაც დაიწყეს დენა თინას სანახავად. ისინი ჩუმად შეიპარებოდენ დიასახლისთან და თინას ინახულებდენ. თუ ოჯახში მამაკაცები არ იყვნენ, თინასთანაც შედიოდენ და გარეშე პირის დაუხმარებლად ეცნობოდენ უცხო ქალს.

(გაგრძელება იქნება)

პ. ლოკპატინი

შეიარაღებული თვალი[1]

(დასასრული)

ფოტოგრაფი წყალქვეშ

ტყეში დევები ცხოვრობენ. ძველ სახლში—ჭინკები. წყალში—ალები, წყლის მეფე და საშინელი, დიდკბილებიანი გველები — დრაკონები. მთვარიან ღამეს ალები ზედაპირზე ნებივრობენ, წყლის მეფე კი, შამითა და წყალმცენარეებით გაბუქგული, ფსკერზე ზის თავის წყალქვეშა სასახლეში და თევზებს ასამართლებს. ხანდახან ის ცეკვას იწყებს, და მაშინ ზღვაში თეთრქაფიანი დიდი ტალღები აგორდება.

დიდი ხანი არ არის, რაც ასე მოუთხრობენ ბებიები ზამთრის გრძელ ღამეებში. მაგრამ ბებიები თვითონ არასოდეს არ ყოფილან ზღვის ფსკერზე და ამიტომ ხშირად აურევენ ხოლმე თავის მოთხრობას. წყალმყვინთავებიც იშვიათად ჩადიოდენ წყალში და თუ ჩავიდოდენ, მხოლოდ თითო-თითოდ და შეეძლოთ ეამბათ წყალქვეშა ცხოვრების შესახებ, არაფრის ჩვენება კი არ შეეძლოთ. ამიტომ ზოგიერთებს ბებიების ნაამბობი სჯეროდათ, ზოგიერთებს — წყალმყვინთავების.

1915 წელს ადამიანმა პირველად ჩაუშვა წყალქვეშ თავისი უზარმაზარი სამეთვალყურეო თვალი. ეს იყო ლითონის დიდი ცილინდრი, რომელშიც მშვენივრად თავსდებოდა ადამიანი. ცილინდრში სარკის ფართო ფანქარი იყო. ფანქარში ადამიანმა განსაკუთრებული კინოაპარა-

[1]) იხილეთ ჟურნ. „პიონერი" № 3.

ტი გაყო, და ეს წყალქვეშა თვალი გულდასმით ათვალიერებდა ზღვის ფსკერის ცხოვრებას, ოკეანასსანთლიანი პროჟექტორები, წყალში ჩაშვებულნი, მას უნათებდენ იქაურობას.



ფოტოკამერიანი ცილინდრი წყალქვეშ

რასაკვირველია, არავითარი წყლის მეფე არ უნახავს კინოაპარატს. მაგრამ მან იქ ნახა მარჯნის უზარმაზარი ნაგებობანი, წყალმცენარეთა მოქანავე ტყეები და ხავსი წყალქვეშა კლდეებზე. მან ნახა რამდენიმე ასეული სხვადასხვა სახის ზღვის მცხოვრებნი, აკულით დაწყებული და მანათობელი თევზებით გათავებული. ისინი



ღრმაწყლოვანი მანათობელი თევზები, რომლებიც დაინახა ფოტოგრაფმა.

„ავი სულის განდევნა“ (ძველი სურათი)

წარმოადგენდენ ერთადერთ ფანრებს ზღვის ფსკერზე, თვითონ კი ბრმები იყვნენ და საკვებს შეხებით პოულობდენ. მან იქ ისეთივე საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრება ნახა, როგორიც დედამიწის ზედაპირზეა. მან გადაიღო ეს ცხოვრება და შემდეგ ეკრანზე უჩვენა ასიათასობით ადამიანებს წყალქვეშა ცხოვრების თავისი უტყუარი დაკვირვებანი.

ასე ისწავლა ადამიანის თვალმა ზღვის ფსკერის დანახვა და მისი ფოტოგრაფიული სურათის გადაღება.

ტელესკოპი

ადამსა და ევას ორი შვილი ჰყავდა: კაინი და აბელი. აბელი კეთილი იყო და ცხვრებს მწყემსდა. კაინი ბოროტი იყო და შურით უცქერდა მშვიდ აბელს. ერთხელ, როდესაც ძმები ღმერთს მსხვერპლს სწირავდენ, აბელის კოცონის კვამლი სვეტივით ადიოდა ზევით: მისი ზვარაკი ღვთისთვის სასურველი იყო, კაინის კოცონის კვამლი კი მიწას განერთხა: ღმერთმა არ ისურვა მისი ზვარაკის მიღება. გაბრაზდა კაინი და მოკლა აბელი. მაშინ ღმერთმა დაწყევლა მკვლელი და, რომ ადამიანებს მუდამ ხსომებოდათ ეს საშინელი ბოროტმოქმედება, ბრძანა მკვლელობის სურათი მთვარის ზედაპირზე აღბეჭდილიყო.

ასე მოუთხრობდენ მღვდლები, და მათი თხრობის გავლენით ზოგიერთნი მართლა ხედავდენ მთვარეზე აბელის სურათს, რომელიც კოლონთან ეგდო, და ბოროტ კაენს, რომელიც გარბოდა. ეს ზღაპარი განაცარმტვერდა, როდესაც ადამიანებმა ტელესკოპი გამოიგონეს.

ტელესკოპი უზარმაზარი საჭვრეტი მილია, რამდენიმე სართულის სიმაღლე. მისთვის სპეციალურ შენობას აგებენ და სახურავში დიდ ხვრელს აკეთებენ, რომ ტელესკოპს შეეძლოს გარეთ გახედვა. ტელესკოპში მოწყობილია სარკეები; თითო მათგანი $4^1/_2$ ტონას იწონის და 3 მეტრი განი აქვს. ტელესკოპს რთული საათის მექანიზმი მართავს. მას მძლავრი მოტორები აბრუნებენ. მთლად ის 100 ტონაზე (6000 ფუთი) მეტს იწონის.

ეს ცის თვალი მშვენივრად ხედავს მთვარეს, თუმცა დედამიწიდან მთვარემდის 384000 კილომეტრია. ტელესკოპი მშვენივრად ხედავს მთვარეზე 300-მეტრიან საგნებს, მაგრამ ის ვერ პოულობს იქ ვერც კაინს, ვერც აბელს. სამაგიეროდ თავის ფოტოგრაფიულ ფირფიტებზე (ტელესკოპი მშვენივრად იღებს მთვარის, მზის პლანეტების სურათებს) მან გადაიღო მთვარის შესანიშვავი სანახაობანი.

უზარმაზარი შავი ჯაჭვები. მთვარის უმაღლესი მწვერვალი 8 კმ. უდრის. მთვარის უზარმაზარი უწყლო „ზღვები" მთვარის საშუალო დონეზე 2500 მეტრით დაბლაა. 50000 მრგვალი კრატერია, ბეჭდისებრი მაღლობები და მთაგრეხილები, თითქმის სულ ერთნაირნი, და არც ერთი წვეთი წყალი, არც ერთი ბალახი... ჰაერის ნიშანწყალიც არ არის: მთვარე მკვდარი სამყაროა.

თარგმანი **შ. თაბუკაშვილისა**

მ. ებრალიძე.

გაზაფხული

ზეცას გული გაუღია,
მზე მიწაზე სხივებს აქსოვს,
ყველას ღიმი გადაჰკვრია,
გაზაფხულდა, ველარ დათოვს!

კარგი არის გაზაფხული,
კამკამა ცის სილაჟვარდე,
ვის არ უცემს გრძნობით გული,
ვინ არ ეძებს ია-ვარდებს!

მალე ველებს მოედება
კოლექტიველ მშრომელთ ჯარი,
ჰექტარები გადიხვნება,
იგუგუნებს რკინის ხარი.

წელს რომ არტელს მეტი ჰქონდეს
დოვლათი და მოსავალი, —
ყველა შრომობს როგორც ერთი, —
დიდ-პატარა, კაცი, ქალი.

ჩაის ბუჩქებს უვლის დედა
ამწვანებულ გორაკებზე,
გაფენილა კოლექტივი
ზღვად გადაშლილ ველ-მინდვრებზე.

და ჩვენც უფრო ვიყოჩაღებთ,
ვისწავლით და ვიმამაცებთ,
ახალ ქვეყნის ბრძოლის გზებზე
ცხოვრების ტემპს პასუხს გავსცემთ.

ლ. საქარელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოსიმეს ოცნება

1.

ლეხინო მთელ სოფელში ყველაზე უფრო მორწმუნე კაცად ითვლებოდა. მას თავისი სილარიბე ლოცვა-კურთხევით უნდოდა შეემსუბუქებია, რადგან მღვდლებისგან ასე ჰქონდა შთაგონებული.

ის სადილად რომ დაჯდებოდა, პირველად პირჯვარს გამოისახავდა და თანაც დაბალი ხმით წაიბუტბუტებდა, ისე რომ ახლოს მყოფსაც კი უჭირდა მისი გაგონება.

ლეხინო სტუმრად თუ იქნებოდა, მაშინ ჭიქას ხელში აიღებდა და ყველას გასაგონად იტყოდა:

— ღმერთო დიდებულო, აგვიშენე მასპინძელი, გაუმარჯვე მის სტუმრებსა.

ამ სიტყვების შემდეგ ყველანი აიღებდენ ღვინით სავსე ჭიქებს და ერთბაშად გადაკრავდენ.

ლეხინო კურტანიძე ძველი კაცია.

მან წარსულის ბევრი ამბავი იცის.

ლეხინო ახალგაზრდებში დინჯად იტყვის ხოლმე:

— ჰეი, შვილებო, რა არ მინახავს, რა არ განმიცდია... ჩემს თავზე პური არ გალეწილა, თორემ სხვამ ყველაფერმა გადიარა...

დიდი არის კურტანიძეების სოფელი.

ამ ვეებერთელა სოფელს საკმაოდ მოზრდილი მდინარე ყოფს შუაზე. მდინარის გაღმა-გამოღმა მშვენიერი სოფლებია გაშენებული. გაზაფხულის დამდეგს, როცა ზამთრისაგან გაძარცვული ხეები ისევ შეიმოსება, როცა ხეხილი ისევ აყვავდება, ამ სოფლებს კიდევ უფრო მეტი სიმშვენიერე ენიჭება.

ბუნებაში თუმცა სიხარული ტრიალებდა, მაგრამ გულჩახვეული ლეხინო კურტანიძე ცხოვრების მძიმე ჯაპანს წელ-წყვეტით ეწეოდა...

2

კურტანიძეების ვეებერთელა სოფელს ერთი ეკლესია ჰქონდა.

ეკლესია მდინარის გაღმით რომ პატარა სოფელია, იქ იყო აგებული. ლეხინო კურტანიძეც ამ უბანში ცხოვრობდა. თლილი ქვისგან აშენებული ეკლესია მაღალ ადგილზე იყო და მდინარეს მისი ამაყად აწვდილი გუმბათი მედიდურად დასცქეროდა.

ზოსიმე და მისი დიაკონი გამოღმა ცხოვრობდენ. ზაფხულობით, როცა მდინარე ძალზე იკლებდა, ეკლესიაში მისვლა ადვილდებოდა, მაგრამ ზამთრობით საქმე ფერხდებოდა.

ძნელი იყო მდინარეში გასვლაგამოსვლა.

ერთხელ ზოსიმე და მისი დიაკონი ადრე მივიდენ ეკლესიაში.

ეკლესიას დასავლეთის მხრიდან პატარა შენობა ჰქონდა მიდგმული, რომელსაც საქალებოს ეძახოდენ. მათ საქალებოში ცეცხლი დაანთეს. ისინი ალიცლიცებულ ცეცხლს ირგვლივ შემოუსხდენ და დასხდომისთანავე დაიწყეს მუსაიფი.

— მამაო, ჩვენი საქმე უნდა მოვაგვაროთ, თორემ მუდამ ასე წყალში წანწალი არ ივარგებს, — მიმართა ზოსიმეს დიაკონმა.

— ჰო, შვილო, მართლაც რომ მოსაგვარებელია ჩვენი საქმე. ან აქეთ უნდა დავსახლდეთ, ან ეკლესია უნდა ავაშენოთ ჩვენს მხარეზე. ის დრო წავიდა, როცა ეკლესიებს მთებსა და მიუვალ ციცაბოებზე აგებდენ. — ასე უპასუხა ღვთის ერთგულ მოსავს, რომელიც მუდამ ოცნებობდა აღძრული საკითხის გადასაჭრელად.

— მამაო, ისევ ეკლესიის აშენება სჯობს ჩვენს მხარეზე, თორემ აქეთ რომ დავსახლდეთ; ამ აღმართზე სიარული მაინც არ მოგვშორდება და ამ დაბა-ქალაქსაც მოვწყდებით.

ზოსიმემ ჭალარა ულვაშებს ქვეშ ჩაიცინა, დიაკონს მხარზე დაადო ხელი და წყნარად უთხრა:

— ვიფიქროთ.

— არა, მამაო, ხანგრძლივ ფიქრს დროს ნუ მოანდომებთ, ჩვენი საქმე ღვთის ნებად გამოვაცხადოთ...

— არ ივარგებს, მამა და შვილო, ახალი ეკლესიის აგება მრევლს მძიმე ტვირთად დააწვება, — ბრძნულად უპასუხა ზოსიმემ.

— ჩვენ რა გვენაღვლება.

— ჩვენ?! ჩვენთვის ულუფის მორთმევა გაუძნელდებათ.

დიაკონმა ულუფის შემცირება რომ გაიგონა, თავი ჩაკიდა და მძიმე ფიქრმა წაიღო.

მას ულუფის შემცირება არ მოეწონა.

ზოსიმე უხმოდ იჯდა და წაბლისფერ წარბებს ბაღლა წევდა.

გარედან შხაპუნა წვიმის ხმა ისმოდა.

ფიქრებში შეცურებულ მღვდელსა და დიაკონს წვიმის შხაპუნი ნანასავით ესმოდათ. დუმილი დიდხანს არ გაგრძელებულა. ეს მყუდროება დიაკონმა დაარღვია.

— ფიქრი ნუ გაქვს, მამაო, ღვთითა და კანონით გადაწყვეტილ საქმეს ხალხი ვერ დაარღვევს.

— მამა და შვილო, თუ ჩვენს საქმეში ღმერთი და კანონი ჩაერევა, აბა მაშინ ვინ რას დაგვაკლებს. გლეხი ყველაფრის ამტანია.

მათ საუბარში კარგახანმა გაიარა, და გლეხებიც თანდათან მოგროვდენ. ზოსიმეს ახალი აზრი მტანჯველ ფიქრად აეკვიატა.

ხალხი გაღმა უფრო ბევრია, ვინემ გამოღმა, ამიტომ ჩვენი მხარე დასძლევს აქაურებს. საქმეს ჩვენ სასარგებლოდ გავაკეთებთ...

ზოსიმე რომ ფიქრებით იყო დატვირთული, ამას იქ მყოფი გლეხებიც ადვილად ამჩნევდენ.

3.

თვეები მიდიოდა.

ზოსიმე ყოველ შაბათ-კვირა ეკლესიიდან დატვირთული ხურჯინით ბრუნდებოდა შინ. მას თითქმის თავისივე ხნის ჯორი ჰყავდა. ამ ჯორით ეზიდებოდა გლეხების ნაოფლარს, მართალია, ჯორს ძალიან უჭირდა მსუქანი მღვდლისა და ხორაგის ზიდვა, მაგრამ ისიც კი იყო პირისგემოში, რადგან დაობებული პური და ტაბლები მას ეკუთვნოდა.

ზოსიმეს ოჯახში ჯორიც პურით იკვებებოდა, იმ დროს, როცა გლეხებს პური კი არა, მჭადი ენატრებოდათ, თუმცა მღვდლებისთვის კი ყოველთვის მიქონდათ. ზოსიმე მღვდელი გლეხების მასწავლებლად ითვლებოდა, რადგან მათ ყოველი წირვის შემდეგ უქადაგებდა:

— რამეთუ ხსენებულ იქნას ნეტარად მიცვალებულნი თქვენნი, ამიტომ მათთა პატივსაცემად და სულის მოსახსენებლად ქრისტიანული წესი არაოდეს იქნას დავიწყებული.

ასეთი იყო ზოსიმეს დარიგება.

გლეხებმა კარგად იცოდენ „ქრისტიანული წესის“ შინაარსი, რომლის განმეორება ხშირად უყვარდა ზოსიმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდლისა და დიაკვნის მომქანცველი ბუტ-ბუტი გათავდებოდა თუ არა, შავ ტანისამოსში გამოწყობილი სოფლელი დედაკაცები მდუმარედ გამოვიდოდენ ეკლესიიდან. ისინი ეკლესიას რამდენიმე ნაბიჯით რომ გამოშორდებოდენ, მერე ძალიან დაბალი ხმით დაიწყებდენ ერთმანეთს შორის ტკბილ მუსაიფს.

მშვენიერი სამუშაო დღე იყო, როცა ეკლესიიდან მღვდლის ბუტბუტით გაბრუებული დედაკაცები შინ მიდიოდენ.

— ქალო, რავარი კარგად იქადაგა დღეს ჩვენმა მღვდელმა, — ჩამოაგდო სიტყვა ერთმა ხნიერმა დედაკაცმა. ისინი ეკლესიის გალავანში მოფენილ საფლავის ლოდებს შორის ნელ-ნელა მიაბიჯებდენ.

ეკლესია უკან რჩებოდა, მოგონება კი მათ გულში.

— აპა, აპა, ქალო. — დაუდასტურა მეორემ.

ის ქალები ლეხინოს მეზობლები იყვნენ. ამ დროს ლეხინოც მათთან იყო. ქალები აგრძელებდენ საუბარს, ლეხინო კი ყურს უგდებდა. ისიც იყო გალავანს გამოშორდენ, ლეხინომ უკან მიიხედა და ბოლოს კი თვითონაც შეერია საუბარში.

— ღმერთი და ქრისტე მწამს, მაგრამ მღვდლების რა მოგახსენოთ... მუქთახორა ხალხია.

მოხუცებულობით გათეთრებული კაცის სიტყვებმა უცნაურად შეაჩოჩქოლა სოფლელი დედაკაცები. მათ წყვილწყვილად დაიკრეს ხელები მუხლებზე და შეშფოთებულნი ავიშვიშდენ:

— უი, ბეჩა, ბატონო, უმღვდლო სარწმუნოება გაგონილა? — მიჰმართა მოკრძალებით ერთმა დედაკაცმა ლეხინოს.

ლეხინო დაფიქრდა და თავისი მოხუცისა და ბევრის მნახველი თვალები თოკივით გაწვდილ გზას გააყოლა.

— ჰო, შენ ეგ მითხარი და... — მიუგო ლეხინომ დაეჭვებით.

ლეხინოსავით მაშინ ბევრი გლეხი ლაპარაკობდა, მაგრამ პირჯვარს მაინც იწერდენ. მათ თავიანთი უკანასკნელი ლუკმა თავისი ხელით მიქონდათ მღვდლისათვის.

— ზოგ შემთხვევაში ქურდი უფრო მართალია. ის ქურდობის დროს ერთგვარ შრომას ეწევა. მას ეშინია, მიწას ეკვრის, ღობე-ყორეს ეფარება. მღვდელს კი მუქთად ვაძლევთ. რისთვის? არაფრისთვის. გვეუბნება: თქვენი მკვდარი ცხონდებაო, მაგრამ ჩვენი მკვდრები კი არა... ყველაფერი მაგათ მუცელში მიდის. — ლეხინო ამ სიტყვებს უკმაყოფილოდ ლაპარაკობდა.

ხნიერ გლეხთა უმრავლესობას მღვდლები არ მოსწონდათ, მაგრამ ღმერთი კი წამდათ.

ახალგაზრდები ორივეს უარყოფდენ.

ზოსიმეს ესმოდა ყველაფერი და თავის ლინჯ ხმას კიდევ უფრო იბოხებდა. მის ბოხ ხმაში, რომელიც ერთმანეთში შერეულ ზარების ჟღავ-ჟღუვივით ისმოდა, მხოლოდ დარიგება იხატებოდა, რომ ღმერთი არ დაჰვიწყებოდათ.

ზოსიმემ გლეხობასთან მოიალაპარაკა, რომ ეკლესია ცუდ ადგილზე იყო აშენებული და საჭიროდ თვლიდა მის წყალგაღმა გატანას. ის თავის აზრს ღვთის განგებად ასაღებდა.

სოფლის ღარიბ მოსახლეობას ზოსიმეს აზრი არ მოეწონა.

ისინი მიხვდენ, რომ ეს მძიმე საქმე მათ გაძვალტყავებულ ზურგსა და მხრებს უნდა გადაეტანა.

— ჩვენი საყდარი ძაან კაი ალაგზეა, ვისაც ლოცვა უნდა, აქაც კარგად მოვა, ღმერთი ყველგან ერთნაირად იხედებაო, — თქვა ერთმა გლეხმა, რომელიც საკმაოდ მოხუცებული იყო.

— კაი, ჩემო ბიძია, ღმერთი კი არის?! — ჩაერია საუბარში პირტიტველა ვასო.

— არა, შვილო, ღმერთი არის, მაგრამ ქვეყანაზე ბევრი უსამართლობა ხდება, — შეეკამათნენ ისევ მოხუცები.

ახალმა საკითხმა ისინი შეაშფოთა.

შეიქნა ჩოჩქოლი.

მოხუცები და ახალგაზრდები ერთხმად ამბობდენ უარს. ზოსიმე მიხვდა, რომ ამ საკითხის ასე გადაჭრა არ შეიძლებოდა, ამიტომ მან სულ სხვანაირ ფიქრებს მისცა თავი, შეწყვიტა ამ საკითხზე ლაპარაკი და თავის დიაკონთან ახალი გეგმის შედგენა გადაწყვიტა.

მათ საიდუმლო გეგმის შედგენაში კარგახანმა გაიარა. გავიდა წლები, და ზოსიმეს წაბლისფერ გრძელ თმაში ჭალარა გაუხშირდა.

— მეც ვხუცდები, მაგრამ საშვილიშვილო საქმეს ვაკეთებ, — ეტყოდა ხოლმე ზოსიმე დიაკონს.

დიაკონი კი საკუთარ კმაყოფილებას თავის დაქნევით უდასტურებდა.

ის მართლა საშვილიშვილო საქმეს იკეთებდა, რადგან მღვდლები მთელს სოფელში მარტო ზოსიმეს გვარეულობიდან გამოდიოდენ.

ხანი გავიდა.

ძველ-ძველი ამბები დავიწყებას მიეცა.

გლეხებს აღარც ზოსიმეს თაოსნობა ახსოვდათ, ეკლესიაც ისევ თავის ადგილზე იდგა და დასაქროდა ხან აქუხებულ და ხან წყნარად მოდუდუნე მდინარეს.

4

გაზაფხული დაიწყო.

ხეები ფოთლებით შეიმოსა.

გლეხები გაეფინენ მინდვრებში და მუშაობა გააჩაღეს. მინდვრები და გორაკები ხავერდივით აბიბინდა, ბუნებაში სიხარული ტრიალებდა, გლეხები კი საერთო სევდაში იყვნენ გახვეული, რადგან მეფის ჯალათურმა ხელისუფლებამ ზოგს შვილი გამოსტაცა ხელიდან და სადღაც მიუვალ ქვეყნებში დაკარგა, ზოგს ნათესავი, რადგან ისინი მეფის დახავსებული წყობილების წინააღმდეგ იბრძოდენ. გლეხები მაინც მუშაობდენ. მათ უნდა ერჩინათ მუქთახორები, მღვდლებით დაწყებული და სხვა მუქთამჭამელი ადამიანებით გათავებული.

გაზაფხულის ერთიან მუშაობას ლეხინო კურტანიძეც შეუერთდა.

იგი სხვებთან ერთად მუშაობდა ჭალებში.

დაცემული ტრიალი მინდორი შავი ხნულით აჭრელდა.

მზე თანდათან იწევდა ცის შუა ნაწილისაკენ. მეხრეები მოიქანცნენ.

— ახლა ჩვენებურად რომ დავფოლადდებოდეთ, ეს დაქანცულობა აღარც კი მოგვაგონდება, — გაეხუმრა ვასო მეზობლად მდგომ ბავ. გლეხს, რომელიც საკმაოდ დაღლილიყო, მაგრამ ფეხშეწყობით მიმავალ ხარებს მაინც სიმღერით მიჰყვებოდა. პატრონის სიმღერა ხარებსაც გულს უმაგრებდა და ნაბიჯები მტკიცედ მიქონდათ.

— უყურე, უყურე, ვასოსაც რავა უსწავლია ლეხინური! — სიცილით თქვა მეზობელმა მეხრემ.

გლეხები „დაფოლადებას“ შენაყრებას ეძახიან.

გლეხების ასეთი გულმოდგინე მუშაობის დროს ზოსიმე და მისი დიაკონი საიდუმლო საქმეს ამზადებდენ. ისინი ღრმად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ჩქარა ისეთი დილა გათენდებოდა, როცა სოფელს „ახალი სასწაულის“ ხმა მოედებოდა. მათ საამისო გეგმა დაწყობილი ჰქონდათ.

ახალ გაზაფხულზე გლეხებმა მაგრად შეუტიეს ხვნა-თესვას და საღამოობით შინ მეტად მოქანცულნი ბრუნდებოდენ. ისინი ჯერ ხარებს აჭმევდენ, მერე თვითონ ივახშმებდენ და ნავახშმებს ტკბილად ჩაიძინებდენ.

(დასასრული იქნება)



ლ. მარუაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყნის კუთხეები

1. ხევი

„ხევი ხომ ყველგანაც არის? ისეთ მთიან ქვეყანას, როგორც საქართველოა, ხევების მეტი რა მოეპოვება! წყნეთთანაც არის საკმაოდ ღრმა ხევი, რომლიდანაც პატარა მდინარე გამოდის. ბოლოსა და ბოლოს, ბოტანიკურ ბაღს შუაზე კვეთს დაბახანის ხევი. რომელ ხევზეა ლაპარაკი?“

ალბათ, ასეთ შეკითხვას მომცემენ მკითხველები, როდესაც ამ წერილის სათაურს წაიკითხავენ. საქმე ისაა, რომ აქ იგულისხმება არა საერთოდ ხევი, ე. ი. დედამიწის ზედაპირის ისეთი ჩაღრმავებული ადგილი, რომელიც წყლის მიერაა გათხრილი. ჩვენ ვგულისხმობთ „ხევის“ სახელწოდებით საქართველოს ერთერთ მთიან კუთხეს, რომელიც მართლაც უზარმაზარ ხევს წარმოადგენს.

საქართველოს ამ შესანიშნავი კუთხის სანახავად ავტომობილით მოგვიხდება გამგზავრება ტფილისიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. ავტომობილი გაგვაქროლებს განიერსა და ღორღით მოფენილ გზაზე, რომელსაც „საქართველოს გზატკეცილი“ ეწოდება. ჩვენ გავივლით საბურთალოს, მცხეთას, ნატახტარს, გავუქროლებთ ბაზალეთის ტბასა და დუშეთს, შემდეგ გადავალთ ანანაურში და გავყვებით მდინარე არაგვის ნაპირებს. ფასანაურის იქით შეგვხვდება მთიულეთის სოფელი მლეთი, აქედან ავტომობილი ნელნელა შეუდგება გუდაურის აღმართს, გუდაურიდან კი ავა ჯვარის უღელტეხილზე, რომელიც კავკასიონის მთავარ ქედზე მდებარეობს.

რაკი ჯვარის უღელტეხილზე ავალთ, მერე ჩვენ ავტომობილს სიარული აღარ გაუძნელდება, ვინაიდან აქ აღმართი თავდება და დაღმართი იწყება. აი, აქ უკვე ხევში ვართ.

ხევი, რომლის ძირზეც მიექანება ამღვრეული თერგი, ყოველი მხრიდან მაღალი მთებითაა გარემოცული. ამ მთებს შორის ყველაზე უფრო მაღალი მყინვარწვერია, რომელიც ზღვის დონესთან შედარებით 5043 მეტრითაა მაღლა ამართული. მყინვარწვერიც და ზოგიერთი მისი მეზობელი მთებიც ზამთარ-ზაფხულ თოვლითა და ყინულითაა დაფარული. მაღლიდან ჩამოშვებულია ყინვარები, რომლებიც შეუმჩნევლად მოცოცავენ ხეობებში, დაბლა დნებიან და გიჟმაჟ მდინარეებს აჩენენ.

თოვლი და ყინვარები ძალიან მაღლაა, ასე რომ 3000 მეტრის ქვევით თითქმის არა გვხვდება ზაფხულობით. კლდეებისა და თოვლ-ყინულის ქვევით ჩამოფენილან ბალახოვანი მინდვრები, ამ მინდვრებზე აძოვებენ თავის საქონელს მოხევეები.

თითქმის ყველა იცნობს მოხევეების წინანდელ ყოფაცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებს ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერების მიხედვით, მაგრამ ბევრს, ალბათ, საკუთარი თვალით არ უნახავს ახალი ხევი, რომელიც ძალიან განსხვავდება თვითმპყრობელური ხელისუფლების დროს არსებული ხევისაგან.

წინათ საქართველოს გზატკეცილი სამხედრო გზას წარმოადგენდა, რომლის საშუალებითაც მეფის მთავრობამ უღელი დაადგა ამ გზის მახლობლად ძობინადრე მთიელებს: ოსებს, ქისტებს, მოხევეებს, ხევსურებს, მთიულებს და სხვ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იმავე გზით შედის კავკასიონის ხეობებში სწავლა-განათლება, მრეწველობა და სამეურნეო განვითარებისათვის საჭირო მანქანა-იარაღები.

ხევში უკვე დაარსდა კოლმეურნეობები. თუ წინათ მოხევეები მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას პირველყოფილი წესებით ეწეოდენ, ამჟამად მეურნეობის ეს ორივე დარგი გაუმჯობესებას განიცდის. ცხვრის გარდა მრავლდება ძროხაც. სოფ. სიონში დაარსებულია ერბო-ყველის ქარხანა და მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც აწარმოებს ცდებს ხევსურული ჯიშის ძროხების გაუმჯობესებული მოდგმის შესაქმნელად. მსხვილი საქონლისათვის ინახება საზამთრო საკვები და სილოსდება.

ვითარდება ხევის მრეწველობაც. სოფ. ყაზბეგის მახლობლად უკვე წამოიჭრა მოზრდილი ქალაქი „ანდეზიტი“.

ანდეზიტი განსაკუთრებული კლდის ქანია, რომელიც გაცივებულ ვულკანურ წიაღვარს წარმოადგენს. ანდეზიტი აღჭურვილია შესანიშნავი თვისებებით: იგი უძლებს ცეცხლისა და

სიმჟავეების მოქმედებას და ამიტომ ქიმიურ მრეწველობას უზარმაზარ სამსახურს უწევს. ანდეზიტისაგან კეთდება ღუმელები და ქიმიური ჭურჭლები, აგრეთვე წისქვილის ქვებიც. ყაზბეგის ანდეზიტს ავტომობილებით მიეზიდებიან ორჯონიკიძის ქალაქში, საიდანაც იგი რკინისგზით იგზავნება საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებში. ანდეზიტის წარმოებაში 3000-ზე მეტი მუშაა ჩაბმული.

ხევში უკვე აენთო „ილიჩის ლამპა“: მყინვარწვერიდან ჩამომავალ მდინარე ჩხერზე აგებულია ჰიდროელექტროსადგური, რომელიც უზრუნველყოფს სოფ. ყაზბეგს იაფი სინათლით.

ხევის დიდრონ სოფლებში გახსნილია სკოლები და საექიმო პუნქტები, სოფ. ყაზბეგში გამოდის ადგილობრივი (რაიონული) გაზეთი. ყაზბეგშივე უახლოვეს მომავალში მოეწყობა ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის მუზეუმი, რომელშიც თავმოყრილი იქნება უმდიდრესი მასალა მთიელების ყოფა-ცხოვრებიდან.

საქართველოს გზატკეცილისა და კერძოდ ხევის დიადი ბუნება აუარებელ მოგზაურს იზიდავს, რომლებიც ყოველ ზაფხულს ათასობით ეწვევიან ხოლმე ყაზბეგის არემარეებს.

მოგზაურთა უმრავლესობა დაინტერესებულია მარადული თოვლისა და ყინვარების გაცნობით. ამიტომაც ყაზბეგის ტურისტულ ბაზას განსაკუთრებული თანამშრომლები ჰყავს, რომლებსაც მიჰყავთ ექსკურსიები ორწვერის ყინვარზე და ახსნა-განმარტებებს აძლევენ ტურისტებს გზად შემხვედრი ბუნების მოვლენების შესახებ.

ორწვერის ყინვარისკენ მიდის ბილიკი, რომელიც გაივლის სოფელ გერგეტს, შემოუვლის მთაზე წარმოდგმულ „წმინდა სამების“ ტაძარს და ადის საუცხოვო ბალახოვან ფერდობებზე, რომელთაც „ალპიური მინდვრები“ ეწოდება. აქედან მოგზაურის თვალწინ გადაშლილია მთელი თერგის ხეობა, კლდიანი ყურის მთა, ხევსურეთის მთები და სხ. მიაღწევენ რა ორწვერის ყინვარს, ტურისტები ათვალიერებენ ღრმა ნაპრალებს, ჩანჩქერს, მყინვარწვერს და ყაზბეგში ბრუნდებიან.

ბევრია ისეთი ტურისტიც, რომლებიც არა კმაყოფილდებიან ყინვარის ნახვით, არამედ ყინულზე კარვებში ღამეს ათევენ და ადიან სულ მაღლა ყინვარების ჭალარა თხემებზე. ასეთ ტურისტებს მთასვლელებს უწოდებენ.

რა თქმა უნდა, მყინვარწვერზე ასვლა არავისათვისაა სავალდებულო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ვისაც ბუნებისმეტყველება აინტერესებს, მან უთუოდ უნდა ნახოს საკუთარი თვალით მარადული თოვლი, ყინვარი და ყვავილებით მოქარგული ალპური მინდვრები. ეს ძალიან ადვილი საქმეა და უხიფათო, რაც სწორედ ხევშია უფრო ხელმისაწვდომი, სადაც ავტომობილიც კი მიდის.

ი. ჭარელიშვილი

სოცშეჯიბრება

რომ თავიდან მოვიცილო
სიზარმაცე ძნელი,
გუშინ, დედავ, სოცშეჯიბრზე
მოვაწერე ხელი.

სამუდამოდ დავეთხოვე
უსაქმურად გავლას,
დღეს ბეჯითად შევუდექი
შრომასა და სწავლას.

არ გავაცდენ გაკვეთილებს,
კოლექტივშიც ვივლი,
არ შეგარცხვენს, ჩემო დედავ,
დამკვრელ მუშის შვილი.

არცერთ საათს არ დავკარგავ
უშრომლად და მუქთად,
აქ მოვაწყობ წითელ კუთხეს,
აქ ვისწავლი მუდამ.

დილით ადრე წამოდგება,
პირს დაიბანს ცივი წყალით,
ერთხელ კიდევ გადახედავს
გაკვეთილებს ფხიზელ თვალით.

დედას უკვირს: „ჩემი ზაქრო,
რა ვქნა, როგორ შეიცვალა,
ვენაცვალე ჩემ ბიჭუნას,
შეუყვარდა მეტად სწავლა!“

„ნახეთ, ნახეთ, მალე ზაქრო
აქ პირველებს დაეწევა“ —
მასწავლებელს არ გამორჩა
მისი კარგი ყოფაქცევა.

აი, ერთ დღეს შეამოწმეს
სოცშეჯიბრის პირობები,
გასინჯეს და გადმოსინჯეს
მათ დღიური აღრიცხვები.

ზაქროსა ჰხვდა გამარჯვება,
შეასრულა მან პირობა,
და შესძახეს ზაქროს ვაშა,
ულოცავდენ მას გმირობას.

მისი გვარი წითელ დაფას
წააწერეს სიხარულით,
და ბავშვებმა ზაქრო მაღლა
შეისროლეს ჟრიამულით.

შინ მოვიდა მხიარულად,
დედას ყელზე მოეხვია:
— დედა ჩემო, გავიმარჯვე,
ვერავინ ვერ დამეწია!

დედამ ზაქრო გადაკოცნა,
მიულოცა მან შვილს ტკბილად,
ამაყობდა, რომ დღეს ზაქრო
გახდა ნამდვილ სწავლის გმირად.

არნო ოგელი

მინდვრად

ღამით წვიმა მოვიდა, ჟუჟუნა წვიმა.

ფანდურივით მღეროდა სახურავზე. გალმა კი ხევები აედიდებია და ღამის მყუდროებას განუწყვეტელი გუგუნით არღვევდა. ბაღ-ბოსტნები და ხოდაბუნები, გაზაფხულის ნაადრევი მზით რომ იყო გადამხმარი, ხარბად ეწაფებოდა ნამსა და სიგრილეს.

როცა გათენდა, მზემ გადმოანათა მთის კონცხებზე. ქვეყანა მტრედისფერ ლაჟვარდში გაახვია. სოფელი ფეხზე წამოდგა დასვენებული მუხლითა და მკლავებით. მზესავით ნათელი აზრი და გონება ამოძრავდა შრომის ფერხულში ჩასაბმელად.

იორთქლება მიწა ნაწვიმარი. ალმური ასდის ხოდაბუნებს, მინდვრებსა და ველებს. მხვნელ-მთესველებს უხმობს მიწა ბარაქიანი.

გადაქიმული თვალუწვდენელი მინდვრები, დილის ნისლებით ოდნავ დაფარული, ჯერ კიდევ ჩუმი და უხმაურო, ტრაქტორებისა და ბრიგადების მომლოდინე.

აჰა, შეუღლა სოფელმა პირველი გუთნეული. ლამაზ ქარავნად გამწკრივდა შარაზე და გაემართა მინდვრისკენ. მხიარული ოროველა ავარდა გაზაფხულით გაბრწყინვებულ ჰაერში, ააზანზარა ირგვლივ მიდამო ნამძინარევი, და მზის აჩქარებული სხივებივით გაიშალა მინდვრებზე ხალისი და ენერგია.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურიდან ტრაქტორები დაიძრა ხვნეშა-გუგუნით, მძიმე ბორგვით და შიშინით. დღეს, ამ მშვენიერი გაზაფხულის დღეს, მიპატიჟებული არის რკინის სტუმრები სახნავად კოლმეურნეობაში.

მზემ ამოიმაღლა. ჩამოცხა კიდეც. გუგუნებენ ტრაქტორები კოლმეურნეობის მინდვრებზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა



გუთნეულს მისდევდა გუთნეული, და შავი ხნულებით იფარებოდა ნაზამთრი მიწა.

2

აგრონომიული პუნქტი. ახალგაზრდა აგრონომი სამუშაო ხალათით დატრიალობს კოლმეურნეთა შორის. უამრავი თესლეული ტომრებით: ხორბალი, სიმინდი, ქერი, სოია, კენდირი, რამი, თამბაქო; ათასნაირი ხეხილისა და ბოსტნეულის სანერგეები; კოლმეურნე ქალები ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილან და გამალებით არჩევენ თესლს.

ბრუნავს ტრიერი. იცლება და კვლავ ივსება ტომრები დარჩეული საღი თესლით. აგრონომი კი დგას კოლმეურნეთა შორის და უხსნის თესლის შერჩევისა და მოსავლიანობის გადიდების პირობებს, ნიადაგის განოყიერებას, თესლის აღმოცენებას, მინდვრის მავნებლებთან ბრძოლას, გასაგები და პოპულარული ენით უმარტავს მათ ყოველგვარ აგრონომიულ ღონისძიებებს, წრევანდელი ბოლშევიკური გაზაფხულის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

პუნქტის შენობასთან ურმებია ჩამომდგარი. იტვირთება გადარჩეული და გადაწმენდილი თესლეულით და იგზავნება ყანებისკენ. გულმკერდგახსნილი ელიან ნახნავებში თესლს საღს და რჩეულს.

დარაზმული დგანან სათესი მანქანები და ელიან ამოძრავებას. აი დაიძრენ კიდეც ჭწკრივად, იმარცვლება თესლი გაპოხიერებულ ნიადაგში; სიყვარულით იხვევს ნოყიერი მიწა თავის კალთაში, რომ სიმწვანითა და სიცოცხლით, გაასკეცებული მოსავლით დაუბრუნოს უკანვე ცხოველმყოფელ მზეს და საბჭოთა ქვეყანას.

3

შუადღე ჩამოდგა.

გაზაფხულის მზე ავარვარებულ ქურასავით ადგია მინდორს. ლაპლაპებს ჰაერი, სიცხით შეხუთული. იალაღებიდან საქონელი დაეშვა მდინარეზე ლაღი თამაშითა და ხტუნვით.

ტრაქტორებით ამდგარი ბუღი და გუგუნი შენელდა, ჩადგა. ტრაქტორისტებმა ტრაქტორები დააყენეს, დაასუფთავეს, მოამარაგეს საწვავი მასალით, წყლით. მუშა პირუტყვი უღლიდან აუშვეს და საკვები მისცეს.

კოლმეურნეები ერთი დიდი ხის ქვეშ შეიკრიბნენ სასაუზმოდ. იქვე წყაროზე ყველამ ხელპირი დაიბანა.

მახლობელი სკოლიდან პიონერთა რაზმი გამოემართა ბარაბანითა და სიმღერით. მოდის ბოლშევიკური თაობა, მოდის მკვირცხლი ნაბიჯით, შეუნელებელი ხალისით.

— სალამი ბოლშევიკური გაზაფხულის გმირებს!—გაისმა პიონერების ხმა. პიონერთა რაზმის ხელმძღვანელმა ახალ-ახალი ჟურნალ-გაზეთები ჩამოარიგა ბრიგადებს შორის. გაიმართა ხმამაღალი კითხვა და გულმოდგინე ყურთასმენა. კოლმეურნეობის კომკავშირისა და პიონერორგანიზაციის წარმომადგენლებმა ფართოდ განუმარტეს კოლმეურნეებს წრევანდელი საგაზაფხულო თესლის კამპანიის მნიშვნელობა.

კიდევ რამდენიმე წუთი – და მინდორში კვლავ გაიშალა შრომა და ენთუზიაზმი. დასვენებული მკლავები კვლავ აგუგუნებდა ტრაქტორებს და ხალისიანად მიჰყვებოდა გუთნეულს. ფეხ-ფეხი მუყაითობით იბრძოდენ მინდვრის გმირები დავალებული გეგმის გადაჭარბებით შესრულებისთვის.

იხიბლებოდა თვალი ულამაზესი სანახაობით. შრომისა და ბრძოლის სიმღერა ირგვლივ მიდამოს აზანზარებდა. თითოეული კოლმეურნის ჯანში უზომო ხალისი და ენერგია იდგა.

ლეოპოლდ ხვიჩია
(IV-ჯგ. მოწ.)

პიონერი სტეფანე

1.

გაზაფხულის მთვარიანი ღამე იყო. მოკაშკაშე ვარსკვლავები უთვალავ მარგალიტებივით გაბნეულიყვნენ ცაზე.

ნიავიც არ ქროდა, თითქოს სურდა არ დაერღვია ბუნების ტკბილი ძილი და მყუდროება.

მთვარე ცივი ღიმილით დასცქეროდა ღრმა ძილში წასულ სოფელს. ისვენებდენ შრომით მოღლილი მკლავები, რომ დილით ახალი ენერგიით სავსე შესდგომოდენ შრომას.

ყველას ეძინა, მაგრამ... ვილაც მაინც ფხიზლობდა. ეს იყო კულაკი კოწია. მისი სახლი პატარა ბექობზე იდგა, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა მწირი, უნაყოფო სოფელი. კოწია ხშირად დაფიქრებული გასცქეროდა იმ პატარ-პატარა ყანებს, რომლებიც ამ სოფლის მშრომელ გლეხკაცობას ეკუთვნოდა.

კოწია ბედს უჩიოდა, რადგან უშვილო იყო.

ხშირად ცოლთანაც ჰქონდა შეხლა-შემოხლა უშვილობის გამო.

ახლაც, ამ ზღაპრული მშვენიერებით სავსე ღამეში, კოწია გაცხარებული დადიოდა აივანზე წინ და უკან, თან თავისთვის ბურტყუნებდა გაუგებარ სიტყვებს. ის ხშირად შედგებოდა და გადაჰხედავდა მიძინებულ სოფელს. ყველას მშვიდად ეძინა, მხოლოდ გონებაადფორიაქებული კოწია ვერ ისვენებდა.

ბოლოს განათებულ ოთახში შევიდა, სადაც მისი მეუღლე ეფროსინე ხელსაქმობდა. კოწიამ ამოიოხრა და საწოლ ოთახში გავიდა.

ის იყო უნდა მიწოლილიყო ტახტზე, რომ უცებ გველნაკბენივით წამოხტა და ხმამაღლა დაიყვირა:

— შენი ბრალია, შენი!

თვალები გიჟივით გადაატრიალა და გაშეშდა.

ეფროსინე შეკრთა.

მას ეგონა, რომ მისმა ქმარმა უშვილობის მიზეზით წამოიყვირა ასეთი სიტყვები, ამიტომ ჩუმად ჩაილაპარაკა:

— რა ჩემი ბრალია, კაცო, მკითხავთანაც ვიყავი და ხატზე ვილოცე, მაგრამ არაფერი გამოვიდა...

მაგრამ კოწია სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. შემდეგ ასწია თავი და ერთხელ კიდევ დაიღრიალა:

— ვის უნდა დავუტოვო ამდენი ქონება, ვის?

დათიკა რომ არის, ღარიბაშვილი, იმაზე ფიქრი არ მაძლევს მოსვენებას. აამხედრა გლეხები და უჩიჩინებს: კოწიას თავს ნუ დააჩაგვრინებთ, მაგას მალე მოვუღებთ ბოლოსო!— დაამთავრა სიტყვა აღელვებულმა კოწიამ.

2.

მთვარე ჩადიოდა, და ვარსკვლავებიც ქრებოდენ. სოფელი იღვიძებდა, ძაღლები უჩვეულოდ ყეფდენ. ფრინველები ნაზი ჭიკჭიკ-გალობით ეგებებოდენ განთიადს.

აღმოსავლეთი ცეცხლივით აელვარდა და არემარეს ბრწყინვალე მზის ოქროსფერი ცხოველი სხივები მოჰფინა. ბალახებში ნამი აბრწყინდა.

ყველა სამუშაოსკენ მიიჩქარის. პირველად სოფლიდან ნახირი გავიდა ბღავილით, რომელსაც მხიარულის ჟივილით მხარზე კომბალგადადებული ბავშვები მისდევდენ.

3.

დათია ღარიბაშვილი, რომელსაც ბრაზით იხსენიებდა კოწია, ღარიბი გლეხი იყო. იგი პატარობიდანვე დიდ ტანჯვა-წვალებას განიცდიდა.

ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე დათიას მშობლების სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ქოხი დარჩა, რომელშიც ქარი და ყინვა თავისუფლად დათარეშობდა, მაგრამ დათია არ შეშინდა და ბრგე კუნთები სამუშაოს დაატაკა. გავიდა ხანი. დათიამ მასავით ღარიბი გლეხის ქალიშვილი შეირთო და ოჯახის მოწყობას შეუდგა. მელანო თავის ქმარივით შრომისმოყვარე იყო და საყვარელ სტეფანეს სასოებით ზრდიდა. პატარა სტეფანე, დათიას შვილი, რომელიც უკვე 6 წლის გახდა, ჭკვიანია, უყვარს ხუმრობა და მამასავით ენამოსწრებული სიტყვები. დათია საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთ მიემხრო, ფარული ორგანიზაციის წევრი გახდა და სოფელში აგიტაციას ეწეოდა.

შვილიც მამის აზრებით იყო გატაცებული, თუმცა არ იცოდა, რას ნიშნავდა სიტყვა „რევოლუცია“ და სხვა ასეთები, რომლებსაც მამამისი ხშირად ხმარობდა. ეს იყო ის ხანა, როდესაც ქალაქად მუშები იფიცებოდენ, აჯანყებებს აწყობდენ და სოფლადაც ფაფარაყრილი გლეხობა ემუქრებოდა იმას, ვინც წინ აღუდგებოდა. აი როგორი ხალხის წარმომადგენელი იყო დათია ღარიბაშვილი.

4.

დათიამ თოხი მხარზე გაიდო და სამუშაოდ გაეშურა ყანაში, სტეფანე კი დიდი ხანი იყო რაც სოფლის გოგო-ბიჭებს გაჰყოლოდა მინდვრად. დათიას ხეივანი ჰქონდა გასავლელი. ბავშვებს საქონელი ამ ხეივნის იქით გაერეკათ, და პატარა სტეფანეც იქ იყო.

დათია ფიქრებში იყო გართული, როცა ხეივანს მიუახლოვდა. მან ღიღინი დაიწყო. ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო უნდა შესულიყო ხეივანში, რომ მას პირახვეული კაცი გადაეღობა, ხანჯალი იშიშვლა და ზარდამცემი ხმით შესძახა: „ფეხი არ გადადგა!“ დათია არ დაიბნა, თოხი ასწია, მაგრამ აღარ დასცალდა... უცნობმა, რომელიც ისე ვერაგულად დაუხვდა გზაში, ხანჯალი ტარამდის უმარჯვა. დათიას თოხი ხელიდან გაუვარდა და უცნობს მხარში მოხვდა.

იგი ტკივილებისაგან დაიღმიჭა და ხეივანს მისცა თავი, დათია კი უსულოდ დაეცა, ნამიანი ბალახი სისხლით შეიღება.

5.

გავიდა ხანი.

კულაკებმა ღირსეული პასუხი მიიღეს, სოფლად ფართოდ გაიშალა საკოლმეურნეო მოძრაობა.

სტეფანე ახლა კოლექტივის წევრია და აქტიურ მუშაკად ითვლება.

პატარა ფეფი

კოლექტივის კარგო ნიშა,
იყავ კარგი ფური
და გაავსე თბილ ჯიქნებით
ავსებული ცური.
მე ვარ ცელქი ოქტომბრელი
და მითრთოლავს გული,
არტელს, ნიშავ, გაუწიე
მეტი სამსახური.
როს საღამოს ლურჯი ნისლი
გადმოწვება მთებზე,
მაშინ, კარგო, გაგიყენებ
მთიან საძოვრებზე.
მზემ ველებზე სხივი სტყორცნა,
აფერადდა ქვიშა,
კოლექტივის საძოვრებზე
მივალთ მე და ნიშა.

ავთანდილ კაშმაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამწყებ მწერალთა საყურადღებოდ

დიდი სიფრთხილით ეკიდება რედაქცია ყოველი ახალი ნაწარმოების დაბეჭდვას. დიდი სიფრთხილით ეკიდება რედაქცია ახალი ძალის გამოყვანას სამწერლო ასპარეზზე. მათი ნაწარმოების უმეტესობას რედაქცია ვერ ბეჭდავს, არა იმიტომ, რომ ამით შეანელოს ახალი ძალის ლტოლვა მწერლობისაკენ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ხელი შეუწყოს მის ჩამოყალიბებას, მის აღზრდას ამ დიადი საქმისათვის, და თქვენ, ალბათ, ძალიან კარგად მოგეხსენებათ, თუ რაოდენ დიდი მუშაობა სჭირდება დამწყებს იმისთვის, რომ შეძლოს ამ ფრონტზე გამოსვლა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა. გარდა ამისა, თვით რედაქციის და ჟურნალის ინტერესი მოითხოვს, რომ მკითხველს მისცეს მაღალი თვისების მასალა, რის კათეგორიაშიც ყველაფერი ვერ ხვდება, რასაც მოაწოდებს მას ყველა ახალდამწყები ახალგაზრდა. ამიტომაც, ვიმეორებთ, რედაქცია დიდი სიფრთხილით ეკიდება ახალგაზრდა ძალის გამოყვანას.

ყველასთვის ნათელია და აშკარა, რომ ამ ბოლო ხანებში მრავალი ახალგაზრდა შეემატა ჩვენ საბავშვო-საყმაწვილო ლიტერატურას, ამით შეგვიძლია ვიამაყოთ. ყოველმხრივ შევუწყეთ ხელი ამ საქმის ენთუზიასტებს, მივეცით კონკრეტული მითითებანი ყველას, ვისაც ჰქონდა რედაქციაში მოსვლის საშუალება, და წერილობით ვხელმძღვანელობდით პროვინციელ ამხანაგებს. ეს ერთერთი უებარი წამალია აღზრდისათვის და, რაც მთავარია, მრავალი წავახალისეთ დაბეჭდვით.

მაგრამ აქ უკვე სხვა მოვლენა იჩენს თავს: ხშირია შემთხვევა, რომ ის ახალგაზრდები, რომლების ნაწერები, წახალისების მიზნით, არა ერთხელ დაბეჭდა რედაქციამ თავისი ჟურნალის ფურცლებზე, უკვე ჩამოყალიბებული მწერლის პოზას იჭერენ და ნაკლებად მუშაობენ თავის თავზე. ერთი ხელის მოსმით წერენ ლექსებს, მოთხრობებს, ყურადღებას არ აქცევენ შინაარსსა და ფორმას, ზერელედ ეკიდებიან სტრიქონებს, რითმებს და სხვ. უკვე თავის დამცირებად მიაჩნიათ პატარა ლექსების წერა, და თუმცა აზრი პატარაა, ლექსს ვეებერთელას გამოიყვანენ აქედან. განა ნათელი არ არის, რომ ეს პირუკუ უნდა ხდებოდეს? განა აშკარა არ არის, რომ პატარა (ფორმით) ნაწარმოებიდან უნდა გამოდიოდეს დიდი აზრი, და არა დიდი ნაწარმოებიდან პატარა აზრი? ეს არის მწერლობის ანაბანა. ვინც ეს ელემენტარული ამბავი არ იცის, იგი მწერლის სახელზე ნუ იფიქრობს. აზრების მოკლედ და სხარტად გადმოცემის გარეშე მხატვრული მწერლობა ის არაა, რაც უნდა იყოს, და ზოგიერთნი, ვინც ამაყობს იმით, რომ მან დაწერა დიდი ლექსი ან მოთხრობა, ამით თავის უდიდეს ნაკლს აღნიშნავს, რაც, საუბედუროდ, შეგნებული არა აქვს. უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მოკლეთ, ნათლად და შინაარსიანად ვწეროთ. ეს არც იოლი საქმეა, ძნელია, მაგრამ სიძნელეები მწერლის გზაზე არც ისე უცხო ხილია, სიძნელე ბევრია, ხოლო ზემოგამოხსენებული სიძნელის დაძლევისათვის ბრძოლა დაწყებისათანავე უნდა დაიწყოს მწერალმა.

ამ წერილის მიზანია ილაპარაკოს იმ მოვლენებზე, რაიც შესამჩნევი გახდა ჩვენში ახალდამწყებთა პრაქტიკაში. ვიმეორებთ, ზოგი ახალდამწყები დაიბეჭდა არა ერთხელ თუ ორჯერ, წახალისების მიზნით, ის კი უკვე თავს დასრულებულად გრძნობს, ფიქრობს და ეგონა, რომ მწერლობა, თურმე, ის ყოფილა, რასაც მან მიაღწია, რომ მეტი მუშაობა თავის თავზე საჭირო აღარ არის, და წერს ისე, როგორც პირველად დაიბეჭდა. არავითარი განვითარება მას არ ეტყობა, საქმეს ზერელედ და უსულგულოდ ეკიდება. ამას ვუწოდებთ ჩვენ ხალტურას. ამგვარ ახალდამწყებიდან მწერალი ვერ გამოვა, და თუ აღარ აქვს სურვილი იმუშაოს თავზე, სჯობს სრულიად დაანებოს წერას თავი. ჩვენ სანიმუშოდ მოგვყავს ამხ. ავთანდილ კაშმაძის ლექსი. ამხ. კაშმაძის ლექსები არა ერთხელ გინახავთ ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე. იგი წერს, და უნდა აღინიშნოს — ზოგჯერ გამართულ ლექსებსაც წერს. ჩვენ აქ იმის ილუსტრაციად, რაზაც ზემოთ ვლაპარაკობდით, შეგვეძლო სხვა ახალგაზრდა ავტორის ნაწარმოები მოგვეყვანა, მაგრამ კაშმაძის ლექსი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ მისი ავტორი უფრო თვალსაჩინო ტიპია ზემოხსენებული აზრის ნათელსაყოფად, სხვა ახლადდამწყებზე უფ-

რო ხშირად იბეჭდებოდა ჩვენ ჟურნალში, და მკითხველებს საშუალება ჰქონდა გასცნობოდენ მის ნაწარმოებს. ზემოთ მოყვანილი ლექსი ერთის თვალის გადავლებით ფითქოს გამართული ლექსის შთაბეჭდილებას ტოვებს: არის რითმაც, რიტმიც, „ერთი მთლიანი აზრი“ და სხ. მაგრამ საკმარისია დინჯად წაიკითხოთ იგი, რომ ნათელი გახდეს ავტორის დაუდევრობა და ზოგჯერ არცოდნაც.

აიღეთ კუპლეტი:

კოლექტივის კარგო ნიშა,
იყავ კარგი ფური
და გაავსე თბილ ჯიქნებით
ავსებული ცური.

ავტორი სთხოვს კარგ ნიშას, იყოს კარგი. ამის თხოვნა, როგორც ჩანს, ნიშასთვის საჭირო არ ყოფილა, რადგანაც იგი ისედაც კარგიაო,— ამბობს ავტორი. ავტორი სთხოვს ნიშას გაავსოს თბილი ჯიქნებით ავსებული ცური. დაკვირდით, ამ ორ სტრიქონში რამდენი შეცდომაა! ჯერ ერთი: ავსებულს რაღა ავსება სჭირდება? ამგვარი კანონი არ არსებობს ფიზიკაში, და მერე ისიც ავსებული ცური უნდა აავსოს ნიშამ თბილი ჯიქნებით. შეიძლება ასე? თვითონ მკითხველმა იფიქროს, რამდენად მოფიქრებულია ეს სტრიქონები. ავსებული ცური თბილ ჯიქნებით ვერ აივსება! ძროხას აქვს ერთი ცური, ანუ ჯიქანი. საკმარისი იყო ცოტაოდენი დაფიქრება, რომ ეს ამბავი ნათელი ყოფილიყო, თუ იცოდა ავტორმა ცურისა და ჯიქნის რაობა, მაგრამ ამას დაფიქრება უნდა, დაფიქრება კი დროს მოითხოვს, რასაც ასე ძალიან „უფრთხილდებიან“ ზოგიერთი ჩვენი ახლად დამწყებნი. ამგვარია მოფრთხილება დროისა მავნებელია და საზიანო. დაფიქრება განუყრელი უნდა იყოს დამწყებისთვის, თუ სურს ასეთი სავალალო და სამარცხვინო შეცდომა არ დაუშვას.

შემდეგ:

„როს საღამოს ლურჯი ნისლი
გადმოწვება მთებზე,
მაშინ, კარგო, გაგიყენებ
მთიან საძოვრებზე.

ძროხას საღამოთი ყველა ჭკვიანი მენახირე შინისაკენ გაუყენებს, და არა მთიან საძოვრებზე. ეს დილით ხდება, და ამგვარი უბრალო რამ უნდა იცოდეს ყველამ, ვინცამ ამბავზე წერს.

„მზემ ველებზე სხივი ტყორცნა,
აფერადდა ქვიშა,
კოლექტივის საძოვრებზე
მივალთ მე და ნიშა“.

ველები საძოვრები იმიტომაა, რომ ზედ ქვიშა კი არაა, არამედ ბალახი. ქვიშაზე ძროხები ვერაფერს მოძოვენ, მაგრამ „ნიშა“-მ მოითხოვა რითმა, და ჩვენმა უდარდელმა ავტორმაც უცბად მოუნახა „ქვიშა“. რითმებისთვის კი არ უნდა ვეძებოთ აზრი, არამედ აზრისათვის რითმა,—ეს უნდა ვიცოდეთ, თორემ რითმას შეუძლია ბევრი რამ გვათქმევინოს, რაც არაა სასურველი.

აი რამდენი შეცდომაა ამ პატარა ლექსში.

აქ რომ ადგილი იყოს, შეგვეძლო მრავალი ახლადდამწყების ლექსი მოგვეყვანა ამგვარი კურიოზებით. უმჯობესია ნუ მოგვცემენ შემდეგ მაინც ამგვარი წერილის დაწერის საბაბს, თორემ რედაქციას არც ეს გაუჭირდება.

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია: ა. გველესიანი, აკ. რეხვიაშვილი (პ/მ. რედაქტორი), ა. ჭანკიევი, ლავრ. ჭიჭინაძე (პ/მ. მდივანი), შ. თაბუკაშვილი, შ. სიხარულიძე, ბორის ჩხეიძე და მ. თომაძე.

ი. ბოგია

რებუსი

ი. ბოგია

შარადა

მცირე შარადა გიძღვენით,
ერთი სიტყვისგან შემდგარი;
სამი მარცვალი გვჭირდება, —
ვგონებ, არა ვარ შემცდარი.
პირველი ასო — ანბანის
მეთვრამეტედა წერია
(ვერ გამოიცნოს მკითხველმა,
აბა, რა დასაჯერია!)
მეორე — სიტყვა იქნება,
მტკიცე საგნისა სახელი,
კვესთან ხმაროობდენ ძველადა,
იქნებ თქვენც იყოთ მნახველი.
უკულტურობის იქნება
იგი დღეს გამომსახველი;
ქარხნის ასანთმა შეცვალა —
ოდიდოს მუშის სახელი!
მესამე — სხეულს გვიფარავს,
მგრძნობიარე და თხელია,
პურსაც აქვს, ხილსაც და ხესაც —
მყნობის დროს გასაჭრელია.
პირველ ნახევარს მოვაცლით,
არ არის გასაჭირია,
მისი მეორე მარცვალი
შარადის ბოლოს გვჭირია,
რომ შევაერთოთ სამივე, —
ჩვენი შარადაც ეგ არი,
მეზობელ ერის ენაზე —
ლითონი მტკიცე, მედგარი.
გმირი — ბელადობს მებრძოლთა,
თუმცა არ არის მხედარი;
მშრომელთა ბედის მესაჭე,
ჩაგრულთა კლასის მზედ არი.
მსოფლიო რევოლუციის
მებაირახტრეც ეგ არი, —
სალი-კლდე შეუდრეკელი,
გენია — მზეებრ მგზნებარი!
ორმოცდაათ წელს გასცილდა,
მაგრამ ჯერ ისევ მხნედ არი;
მისდამი ბრაზით მტარვალნი
ყალყზე არიან შემდგარი!
მუშებს ულრენენ შორიდან
ცოფიან დორბლის დენითა,
შემუსვრას ემუქრებიან,
ბებერ კბილების ღრჭენითა.
მრავალი ცილიც დასწამეს
შხამ-გესლიანი ენითა, —
არას აკლებდენ ბრძენთა — ბრძენს
უგნურნი ყეფა-ღრენითა!

ფასი 75 კაპ.

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის ჟურნალი ბავშვთათვის

წელიწადი IX.

პიონერი

წელიწადი IX.

გამოდის თვეში ერთხელ

ყოველმა პიონერმა უნდა გამოიწეროს

ჟურნალი

პიონერი

ჟურნალ „პიონერი“-ს 1934 წლის ყველა ნომერში • დაიბეჭდება საინტერესო მოთხრობები, ლექსები და პიესები • • • • • • • •

ჟურ. „პიონერი“-ს რედაქცია.